№ 2917
კვირა
25 სექტემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2917
კვირა
25 სექტემბერი

ხელისმოწერის ფასი: ერთის წლით—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—5 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელისმოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელ ნომერთან ერთად ტფილისის ხელის-მომწერთ ურიგდებათ დრამატიულ საზოგადოების განცხადება წლევანდელ დასისა და რეპერტუარის შესახებ.

თავადნი გიორგი, დავით და ნიკოლოზ სარდიონის ძენი ციციშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას სოფელ ზემოხვედურეთში საყვარელის ძმის თავ.

იასონ სარდიონის ძის ციციშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდზე ორშაბათს, ამა თვის 26-ს, დილის 12 საათზე, კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში.

კავკასიის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული

დრამატიული კურსები

ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზე

მიხეილის ქუჩაზე, № 123

ქართულ დრამატიულ კლასისთვის მასწავლებლად მოწვეულია ქართულ დრამატიულ დასის არტისტი **ქ. დ. ყიფიანი.**

მოწაფეთ იღებენ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. კურსების ბინაზე. კურსებთან საცდელი სცენაც არის.

(2—2) კურსების დამაარსებელი **ს. მ. დოლუხანოვისა.**

---

25 სექტემბერს 1905 წელს სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში, სასახლის ქუჩაზე გაიმართება

სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ

ქართველ ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

ბაზრობა დაიწყება შუადღის 12 საათზე, გათავდება საღამოს 10 საათზე. სეირნობის დროს ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა. ბაღში იქნება საბავშვო გასართობი, უჩინმაჩინის ქუდი, ფოსტა, მკითხაობა და სურპრიზები.

თეატრის ფოიეში **ცეკვა**

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კაპ., ბავშვებისთვის—10 კაპ. (5—უ.—5)

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ორშაბათს, 26 სექტემბერს, სეზონის დასაწყებად თავ. **ალექსანდრე სუმბათაშვილის** ცნობილი პიესა

ღალატი

ისტ. დრამა-ლეგენდა 5 მოქმ. თავ. სუმბათაშვილისა გრ. ყიფშიძის თარგმანი.

ზეინაბის როლს შეასრულებს ნ. ჩხეიძე

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი, დ. ჩარკვიანი, ა. ჯაყელი და სხვანი.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მ.-დან 10-მდე, ბალკონი 50 კ.-დან 1 მ.-მდე, გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე.
მოსწავლეთათვის ადგილები 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „ღვარი" დრ. 4 მოქ. „მარუხა"—„შიო თავადი"—„სულით ობოლნი" და სხ.
რეჟისორი **ვალ. გუნია.**

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"

ამხანაგობა

ამით აცხადებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგება საჭიროა, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **იმაზე ნაკლებ ფასებში დაინიშნოს, რასაც იაფ ვაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.** საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—200)

ხელ-ახლად

შეკეთებულს სახლში, რომელიც ეკუთვნის ქაშვეთის ეკლესიას, გოლოვინის პროსპექტზე, პირველ გიმნაზიის პირდაპირ, ამა 1905 წლის სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში

იხსნება

სამაგალითო მაღაზია შეკერილ ტანისამოსისა

ამ ფირმით

პარიზის მაღაზია

„ძმ. სათვარიანცების და ტერ-საჰაკოვისა"

განსაკუთრებულ განყოფილებით, სადაც **იაფ ფასიანი საქონელი** გაიყიდება. ყოველთვის დიდძალი საქონელია დამზადებული, **შეკერილი** ტანისამოსი მამაკაცთა (სტატსკისა და ფორმისა), დედაკაცთა და ბავშვთა, აგრეთვე **ყოველ გვარ ფირმის** ტანისამოსი მოსწავლე ვაჟების და ქალებისთვის, მომზადებული საკუთარ სახელოსნოებში ტფილისსა, ბაქოსა და ოდესაში. ტანისამოსი შეკერილი იქნება პარიზის უკანასკნელ მოდაზე. მუდამ ჟამს მოვა ყველაფერი, რასაც-კი სეზონი შეჰქმნის.

შეიძლება დაკვეთა საქონლისა, კაცისა და ქალის ზედა ტანისამოსისა საკუთარ მატერიებიდან, **რუსეთის და ინგლისის ქარხნების ნაწარმოებიდან.** დაკვეთის მომზადება ვადაზე და კარგად გამოცდილ გამომჭრელთა ხელმძღვანელობით. ამ გამომჭრელთ კურსი დამთავრებული აქვთ პარიზის სამკერვალო აკადემიაში.

ფირმა, აცხადებს რა ამას საყოველთაოდ, სთხოვს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას პირადად მობრძანდეს და დარწმუნდეს ყველაფერში.

ფასები საქარხნოა და შეუვაჭრებელი

(10—360—7) პატივისცემით „ძმ. სათვარიანცები და ტერ-საჰაკოვი"

„ალაზანი"

კახეთის მევენახეთა ამხანაგობამ

დაიწყო ღვინით ვაჭრობა, მიხაილოვის პროსპექტი, სახლი ზურაბოვისა № 116 ტელეფონი № 792 (10—2)

სენაკის მაზრის, სოფელ მარტვილის მცხოვრებნი და დ. ნოღალევის მოვაჭრენი საყოველთაოდ აცხადებენ, რომ 15 ამა წლის სექტემბრიდან ყოველ ხუთშაბათ-პარასკეობით დაბა

ნოღალევში მუდმივად დაარსდა ბაზრობა,

სადაც გაიყიდება ყოველ-გვარი პირუტყვი და ადგილობრივი ნაწარმოები და ამისათვის **სთხოვენ** პატივცემულ საზოგადოებას, მყიდველთ და გამყიდველთ, იქონიონ მსვლელობა ბაზრობაზედ. (10—6.—10)

მედიცინის დოქტორი

მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან 11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1, ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 7111. (50—868—7)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. (წ.)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის სწოლებით ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ი. ნ. მეიაზ-როვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დიმიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ნ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვის ავადმყოფობანი.

ი. ე. აპეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. ქიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ოლხიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სტაციონერი განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—10)

ექიმი

დ. გედევანიშვილი.

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.

ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. ტელეფონი № 1056. (თვ.—828—25)

ექიმი

გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გაშინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 საათ. და საღამოთი 5—7 საათზე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—4)

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი.

გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.

იღებს კბილის სნეულებიან ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, ხსამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე. (თვ. 80—4)

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (80—25)

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (80—15)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლაევსკისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, აზიატის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირაუქმეებით 10—1-მდის.

ექიმი

მ. დ. კილოსანიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 საათ. და საღამოობით 5—6 ს. კოჩუბეევის ქუჩ. № 23 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—366—10)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძისა № 11.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

ქართულ თეატრის სეზონის გახსნა

ხვალ, ორშაბათს, ქართულ წარმოდგენების სეზონი იხსნება. ქართული თეატრი უკვე ორმოცდაათს წლიწადზე მეტია, რაც ჩვენის ქვეყნის კულტურულ განვითარებას ემსახურება. დიდის ხნის განმავლობაში თეატრი და მწერლობა ის ორი ობოლი ვარსკვლავი იყო, რომლებიც თავის სუსტი სხივით ოდნავ ბჟუტავდნენ ჩვენის ეროვნულის ცხოვრების ბნელს ცაზე. ჩვენის ქვეყნის უკუღმა დატრიალებული ბედი დღემდე მაგრე რიგად ვერ უწყობდა ხელს საერთოდ ეროვნულ კულტურის განვითარებას და კერძოდ თეატრის აყვავებას. გარეშე მიზეზების გარდა თეატრის ბედ-იღბალს მწარე ბეჭედს ასვამდა ის გარემოებაც, რომ ჩვენს ინტელიგენციას დღითი დღე უფრო და უფრო აკლდებოდა იმედიანობა და, პირიქით, უძლიერდებოდა პესსიმისტური აზროვნება. ეხლა ამ მხრივ მდგომარეობა ძირიანფესვიანად შეიცვალა. იმედმიხდილობას სულერთიან მოეღო ბოლო, სამაგიეროდ მტკიცე ნიადაგი მოიპოვა ეროვნულ განვითარების რწმენამ და, უეჭველია, ამ გარემოებამ თავისი გავლენა უნდა მოახდინოს თეატრის მდგომარეობაზე ახლო მომავალში. ერი, რომლის ყველა ელემენტებსაც სიცოცხლის გაუმჯობესება სწყურიან და სწამს თავისი საბოლოო გამარჯვება, ის ერი უკვე გამოფხიზლებულია და აუცილებლად შეჰქმნის განვითარების ყველა საჭირო პირობებს. თუ დღემდე პესსიმიზმით დამთვრალი ინტელიგენცია—მხოლოდ თავის უგზო-უკვლო ხეტიალს სთვლიდა საზოგადო მოღვაწეობად, ეხლა ეს მდგომარეობა სულერთიან შეიცვლება, კულტურულ ცხოვრების ყველა სფეროში ახალი ლამპარი აინთება და ახალი გზები გაიკვლევა.

ამ თავითვე სჩანს ცოტაოდენი ნიშნები იმისი, რომ ქართული თეატრი ახალი ისტორიულ ხანას იწყებს. დღემდე ჩვენი სცენის მოღვაწეები ისეთს მატერიალურს პირობებში სცხოვრობდნენ, რომ მათთვის შეუძლებელი იყო გულდინჯი მუშაობა თავის ხელოვნების განსავითარებლად ქართულს ნიადაგზე: მთელის წლის განმავლობაში ისინი მხოლოდ ხუთი თვე იყვნენ რამდენადმე უზრუნველყოფილი მატერიალურად, დანარჩენი შვიდი თვე კი ნახევარზე მშიერები რჩებოდნენ. ეხლა დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ახორციელებს ჩვენის არტისტების დიდის ხნის სურვილს და იმათ წლიურს ჯამაგირს უნიშნავს. ცხადია, ამის შემდეგ სცენის მუშაკნი უფრო მეტის გულმოდგინებით მოეკიდებიან თავის საქმეს და უფრო ნაყოფიერად იმოღვაწებენ.

ჩვენს მწერლობას ეხლა გაცილებით მეტი სიცოცხლე ეტყობა, ვიდრე აქამდე. უეჭველია, დრამატიულ მწერლობაშიაც იჩენს თავს ამ მოკლე ხანში აზრის და შემოქმედებითის ნიჭის გამოფხიზლება. ჩვენ გვგონია, ქართულმა თეატრმა ფართოდ უნდა გაუხსნას გზა ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებებს, უკუ უნდა აგდოს ძველებური სკეპტიციზმი და ქართულის ნიჭის ნაწარმოები საქვეყნოდ გამოფინოს. ამ საშუალებით ყველაზე უკეთ გამოირკვევა რა ნაკლულევანება და რა ღირსება აქვს ახალს ნაწარმოებს და თანდათან შემუშავდება ეროვნული დრამატიულ მწერლობა.

რამდენისამე წლის წინად ქართულ თეატრში საზოგადოება თითქო მხოლოდ ქველმოქმედების გულისთვის დაიარებოდა. მაშინ თეატრს ჯერ ისევ გარეგნული არისტოკრატიული ხასიათი ჰქონდა. რამდენიმე წელიწადია, რაც ქართულმა თეატრმა უკვე უარჰყო ასეთი თავისი წინანდელი ხასიათი. ეხლა ის, რაც ხანი გადის, მით უფრო უახლოვდება მდაბიო ხალხს, მით უფრო სახალხო თეატრად ჰხდება. ჩვენის ფიქრით, ამ მხრივ საჭიროა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი იქმნას გადადგმული წინ, საჭიროა თეატრში სიარული ყველასათვის ხელმისაწვდომი შეიქნეს და რეპერტუარიც ხალხის სულიერ მდგომარეობას შეეფეროს. უკანასკნელ ხანებში ისეთი ძლიერი განვითარება სიტყვა-კაზმულ მწერლობისა დასავლეთს ევროპაში არაფერს არ ეტყობა, როგორც დრამატიულ მწერლობას და ხელოვნებას. თეატრი იბრუნებს თავის წინანდელს, უძველესს საბერძნეთის დროინდელ მნიშვნელობას და ხალხის მისწრაფებათა ჭეშმარიტ გამომხატველად ჰხდება. ამავე გზას უნდა დაადგეს ჩვენი თეატრიც, ხან უნდა გვატიროს, ხან უნდა გვაცინოს, მაგრამ ყოველთვის კულტურულ განვითარებას უნდა ემსახუროს და არა ფუქსავატობას. ჩვენმა თეატრმა უნდა გააცნოს ჩვენი ხალხი ევროპის დრამატიულ მწერლობასაც, რადგან ამ მწერლობაში ინასკვება ამ ჟამად ხალხის გონებრივი და ზნეობრივი ფიზიონომია, იმისი იდეალები და ხასიათი.

ამ ორიოდე სიტყვიდანაც სჩანს, რა დიდი დანიშნულება და რა მძიმე საქმე აქვს ასასრულებელი ჩვენს თეატრს. მაგრამ სიყვარულით გამთბარს გულს და მეცადინეობით განმტკიცებულს ენერგიას ყოველისავე სიძნელის დაძლევა შეუძლიან. საჭიროა ყოვლის უწინარეს, ახსოვდეთ ჩვენის თეატრის მოღვაწეებს, რომ ჯეროვანად მხოლოდ მაშინ გაუწევენ ხელმძღვანელობას საზოგადო საქმეს, თუ თითონ ისინი თავის გონებას და ცოდნას ერთს წერტილზე არ შეაჩერებენ, მუდამ განახლების გზაზე იდგებიან, შეირიგებენ ეხლანდელს ცხოვრების ახალს მიმართულებას და ანგარიშს გაუწევენ იმას. როგორც შევიტყეთ, ჩვენს არტისტებს ამ აზრით ერთის კარგის საშუალებისთვის მიუმართავთ: დრამატიულ მწერლობის ახლო გასაცნობათ განუზრახავთ მოიწვიონ ხოლმე ლექტორები არტისტთა წრეში ლექციების წასაკითხად. ჩვენის ფიქრით, ეს მეტად კარგი საშუალებაა ქართულს თეატრის ასამაღლებლად.

წელს ქართულს თეატრს საკუთარი ბინა არა აქვს. ჯერ-ჯერობით წარმოდგენები გაიმართება სახაზინო და ავლაბრის თეატრში. საკუთარი ბინის უქონლობა, უეჭველია, რამდენადმე დააბრკოლებს თეატრის ნაყოფიერ მოქმედებას, მაგრამ სამაგიეროდ წინანდელი ბინა ქართულის თეატრისა ისე ღარიბი იყო მოწყობილობით, რომ სახაზინო თეატრში შეკედლებით ქართული წარმოდგენები გარეგნობით ბევრად უკეთ იქნებიან ეხლა მოწყობილნი, ვიდრე წინად.

ჩვენ იმედიანად ვეგებებით ქართულ წარმოდგენების სეზონის გახსნას და ვუსურვებთ სცენის მუშაკთ ნაყოფიერ მოქმედებას.

ვ—ი.

„სკოლის საზოგადოების" დღევანდელ კრების გამო

ეჭვს გარეშეა, რომ ტფ. თავად-აზნაურთა გიმნაზიის ცხოვრებაში კარგა ხანია კრიზისი დადგა და ეს კრიზისი დღესაც არ დასრულებულა.

ძირითადი მიზეზი ამ კრიზისისა, სხვა მიზეზთა და პირობათა გარდა, ისიც არის, რომ გიმნაზიის საქმეთა მართვა-გამგეობა ვერ იყო რიგიანად მოწყობილი. თავი და თავი ნაკლულევანება სკოლის მართვა-გამგეობის სისტემისა, რომელიც უკვე ყველგან უარყოფილი და დაწუნებულია, იმით გამოიხატება, რომ ერთმანეთში არეული იყო საზოგადოების კომიტეტისა და პედაგოგიურ საბჭოს უფლება-მოვალეობანი. მართვა-გამგეობის ასეთმა წესრიგმა არ იცოდა და ვერც ეცოდინებოდა, პედაგოგიური საბჭო თავისთავად პასუხიმგებელი და ამიტომ რამოდენიმედ დამოუკიდებელი დაწესებულება უნდა იყოს. მართლაც, უმეტეს შემთხვევაში ყველაფერს განაგებდა და ყველაფერს სწყვეტდა გამგე კომიტეტი.

ოცდა ექვსი წლის განმავლობაში ეს კომიტეტი აძლევდა საზოგადოებას ანგარიშს სკოლის მდგომარეობაზე, მაგრამ ამ ანგარიშებში სკოლის ცხოვრება მეტად მკრთალად იყო ხოლმე დასურათებული. ამიტომ ჩვენს საზოგადოებას არ შეეძლო თავის დროზე და რიგიანად სცოდნოდა სკოლის მდგომარეობა, ამ ანგარიშებში თითქმის სრულიადაც არ იხსენებდნენ პედაგოგიურ საბჭოს, არ ამბობდნენ, რას ფიქრობს, რა განზრახვები აქვს ამ დაწესებულებას, თითქო ის არც კი არსებობდა. სკოლის მართვის სისტემის ამ ნაკლულოვანებაზე ხშირად მიუთითებია პრესსასაც, საზოგადოებასაც, და ამიტომ ჩვენ აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ასე საქმის დატოვება აღარ შეიძლება.

მაშასადამე, დღევანდელ კრების საზრუნავი საგანია: როგორ უნდა გადაკეთდეს სკოლის მართვა-გამგეობის საქმე, რათა მისი ცხოვრება ნორმალურსა და სასურველს კალაპოტში ჩადგეს. ჩვენ თანაგრძნობით მივეგებებით ყოველ იმ სისტემას, რომელსაც საფუძვლად დაედება ცხოველმყოფელი და დღევანდელ პირობების შესაფერისი პრინციპი. ჩვენის აზრით, ეს განხორციელდება, როცა კომიტეტისა და პედაგოგიურ საბჭოს უფლება-მოვალეობანი მტკიცედ იქნებიან განსაზღვრული და არც ერთის უფლება არ იქნება შელახული. სკოლის საზოგადოება უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ მას აქტიური უფლება ენიჭება განაგოს სკოლის საქმეები; ამას მოითხოვს ცხოვრება და ამიტომ ასეთს წესრიგს თხოულობენ სხვა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანიც. მაგალითად, ციმბირის ერობის პროგრესიული პროექტი აღნიშნავს, რომ ერობის ხარჯზე არსებულ სკოლებს თვით ერობა უნდა განაგებდეს. მაგრამ უეჭველია პედაგოგიურს საბჭოსაც უნდა მიენიჭოს სათანადო დამოუკიდებლობა და თავისუფლება. სკოლის საქმეს, როგორც პედაგოგიის მხრით, ისე სასკოლო მეურნეობის მხრით, უნდა განაგებდეს პედაგოგიური საბჭოც. ამ ორის პრინციპის შეთანხმება, ამ ორის მმართველ ორგანოების თავისუფალი მოქმედება უთუოდ შეჰქმნის საღ სისტემას სკოლის მართვა-გამგეობისათვის...

**

ერობისა და ქალაქების მოღვაწეთა წარმომადგენლების კრება მოსკოვში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან *)

ეროვნულ საკითხის შესახებ ბაასი კრებამ 14 სექტემბერს განაგრძო. პირველად ილა-

---

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 2916.

პარაკა ბ-ნმა ვრუბლევსკიმ. იგი შეეხო გრაფ ჰეიდენის გუშინდელ სიტყვას, ვითომ პოლონელები მუქარით მოქმედებდნენ და ძალად ითხოვდნენ თავიანთ ეროვნულ უფლებების აღდგენას. სრულიადაც არა,— სთქვა ორატორმა:—პოლონელებს ის არ უნდათ, რომ რუსებისაგან რაღაც ქაღალდის დიპლომი მიიღონ, ისინი აქ არც ჩარჩობა-ვაჭრობისათვის მოსულან; მოვიდნენ, რათა გაიგონ, რას უნდა გამოელოდნენ და აგრეთვე გამოსთქვან თავიანთი აზრი, შეხედულობა; ჩვენ ვითხოვთ კულტურულ თვითგამორკვევას პოლონელებისა, ებრაელებისა და სხვა ერებისათვისაო.

თავ. შჩერბატოვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა გათანასწორებულ იქმნენ რუსეთში მცხოვრები ერებიო. დიდხანს ილაპარაკა ციმბირის წარმომადგენელმა ი. ი. პაპოვმა. იმან ნათლად გაარკვია ის უკიდურესი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან ეგრედ წოდებული „ინოროდცები“. მაგალითები სულ ციმბირის ცხოვრებიდან მოჰყავდა. იგი ამბობდა, რომ გარუსების პოლიტიკა წითელ ზოლივით ემჩნევა ჩვენს მთავრობის მოქმედებას, შედეგი კი სწორედ ის არის, რაც სასურველი არ არის თვით მთავრობისათვის. რად მოხდა ეს? იმიტომ, რომ მთვრობამ არც ერთხელ არ ჩაიხედა სხვა ერის გულში, არ გაიგო მისი სურვილი, მისი გულნადები. ეხლა იქ, საიდანაც მე გამომგზავნეს,—სთქვა ორატორმა, დიდი მღელვარებაა. თხუთმეტი წელიწადი გავატარე იქ და დღემდე არ ვიცოდი, თუ ბურიატების შვილებს სამოსწავლო ინსტიტუტში შესვლის უფლება არა ჰქონდათ. ბევრ სხვა მაგალითს მოვიყვანდი, მაგრამ დრო არ არის. მე ვთხოვ აქ მყოფ წარმომადგენლებს მხედველობაში მიიღონ უკიდურესი მდგომარეობა იმ ერებისა, რომელთა რიცხვიც მრავლისაგან მრავალია რუსეთში, იმ პატარა ერებისა, რომელიაც დროთა ვითარების და პირობების გამო არ ძალ-უძთ დაიცვან თავიანთი თავი. მიეცით ნება განვითარებისა, დაუბრუნდეთ ენა და კულტურაო.

ეკატერინოსლავის წარმომადგენელმა ბ-ნმა ალექსანდროვმა მოიყვანა ბაქოს საშინელი ამბები. ამგვარი ამბები, სთქვა ორატორმა,—იმისი ნიშანია, რომ ხალხი ღაღადებს: „იმ პირობებში, რომელშიაც ეხლა ვიმყოფებით, აღარ შეგვიძლიან ცხოვრებაო“. ყველა კარგად ჰგრძნობს, რომ ცენტრალურ წესწყობილებას აღარ ძალ-უძს დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებანი. ამიტომ საჭიროა დეცენტრალიზაცია. პოლონელი პანიატოვსკი შეეხო იმ აზრს, რომელიც საზოგადოებაში ტრიალებს: თუ პოლონეთს თავისუფლება მიეცა, იგი თავის საკუთარ სახელმწიფოს დააარსებს, აგრეთვე საქართველო თავის განცალკევებულს, განსაკუთრებულ სამეფოსაო. ეს აზრი სრულიად მოკლებულია სიმართლეს. სულ სხვას გვეუბნება შვეიცარიის, ამერიკის, საფრანგეთის მაგალითები. იქ, სადაც ერებს თავისუფლება მიანიჭეს, უფრო შეერთდნენ და შეკავშირდნენ. უნდა ყველა ერს თავისუფლება მიენიჭოს.

შემდეგ ილაპარაკა ქუთაისის წარმომადგენელმა ბ-ნმა ლორთქიფანიძემ. იმან სთქვა: საქართველოს ავტონომიაზე ბევრი რამ ითქვა, ამიტომ სიტყვას არ გავაგრძელებ და დავუმატებ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა აი უკვე 100 წელიწადზე მეტია, რაც რუსეთის სახელმწიფოს ექვემდებარება. ამ ხნის განმავლობაში მან განიცადა სასტიკი და წარმოუდგენელი რეპრესიები. რა გამოვიდა მერე? ისე, რომ ხალხს ვეღარ აუტანია ასეთი ცხოვრება და იძულებულია მუდამ ჟამს შეტაკება იყოს ამ რეპრესიის დამცველებთან. მე მინდა ვსთქვა, რომ ერთი უმთავრესი სახსარი აღშფოთებულ ხალხის დამშვიდებისა არის ავტონომია. ამიტომ საჭიროა ეხლავე გადაწყდეს ეს საკითხი.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „რუსეთის იმპერიის ძირითად კანონმა ყველა ერისათვის უნდა უზრუნველ-ჰყოს უფლება კულტურულ თვით-გამორკვევისა; საზოგადოდ: ყველა ერისათვის საჭიროა: სრული თავისუფლება საკუთარ ენის ხმარებისა, როგორც საზოგადოდ, ისე კერძო ცხოვრებაში, აგრეთვე თავისუფლება კრებებისა, კავშირებისა, თავისუფლება სასწავლებლების და სხვა დაწესებულების დაარსებისა, რომელთაც აზრად ექნებათ ენის შენახვა და განვითარება, აგრეთვე განვითარება კულტურისა, ლიტერატურისა და სხვათა“. (მიღებულ იქმნა ერთხმად).

შემდეგ კრება შეუდგა დეცენტრალიზაციის და ავტონომიის კითხვის განხილვას.

სიტყვა დაიწყო ბ-ნმა დიმიტრიევმა. იმის აზრით, ამ საკითხის განხილვა ბიუროს უნდა გადაეცეს. ბ-ნმა კოლუბაკინმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ავტონომიის დროს საერთო ძალა სახელმწიფოსი კი არ იქსაქსება, ვითარდება და ძლიერდება. არავის არ განუცხადებია, რომ განაპირა ქვეყნებს ცალკე სუვერენიულ სახელმწიფოების უფლებანი მიენიჭებათ. როდესაც ყოველ სავე განაპირა ქვეყანას უფლება ექნება განაგოს შინაური საქმეები, რაღად მოისურვებს იგი განცალკევებას? რათ წავა იგი, როდესაც დარწმუნებული იქნება, რომ სრული უფლება აქვს დაიცვას თავისი ენა, მოუაროს თავის თავს, განაგოს კულტურულ განვითარების საქმე და სხვათ. ავტონომიის მომხრე იყო აგრეთვე ცნობილი მეცნიერი პროფ. მ. კოვალევსკი.

წინააღუდგა ავტონომიას მ. პ. ფედოროვი. იმის აზრით, მალოროსიას, მაგალითად, არავითარი ავტონომია არ უნდა, რადგან მალოროსები იგივე რუსები არიანო. ფედოროვმა სთქვა, მე ვთხოვ კრებას, სრულიად გააუქმოს და უარჰყოს ავტონომიის საკითხი. თუ ვინიცობაა როდისმე ეს საკითხი ცხოვრებამ წამოაყენა, მაშინ გამოჩნდებიან სხვები და ჩვენზე კარგად გადასწყვეტენ საქმესაო. ბ-ნი გუჩკოვი ხომ სულ დააფრთხო ავტონომიამ. ვაი თუ მთელ რუსეთს მოუნდეს ავტონომიური წესწყობილება და მაშინ ხომ რუსეთი აღარ იქნებაო, სთქვა იმან ხმის კანკალით.

პროფესორმა ვერნადსკიმ სთქვა: ავტონომიის საკითხი დიდი პრაქტიკული საკითხია. ავტონომიური წესწყობილება რუსეთისა როდია გამოწვეული ეროვნულ მოთხოვნილებებით, იგი გამოწვეულია სულ სხვა რითიმე. უმთავრესი საგანი რუსეთის დემოკრატიული მოწესრიგებაა. შეუძლებელია დემოკრატიული წესწყობილება ცენტრალიზმზე დამყარდეს, რადგან ამ გვარი წეს-რიგი ვერ გამოიწვევს ხალხში სიცოცხლესა და ძალას. სხვა რომ არა იყოს რა, კარგად მოგეხსენებათ, რა დიდი განსხვავებაა სხვა და სხვა კუთხის შორის. შეუძლებელია ყველგან ცენტრი გაუძღვეს საქმეს. მართლაც და ნუ თუ ყველასთან ერთნაირად უნდა გადასწყდეს აგრარული საკითხი? ეს ხომ ბავშვობა იქნება! ამ გვარი საქმეები უსათუოდ ადგილობრივ, თვით მცხოვრებლებმა, უნდა გადასწყვიტონ.

პროფ. მ. მ. კოვალევსკიმ წინადადება მისცა კრებას ეს საკითხი გაერჩია არა ფილოსოფიურად, არამედ რეალურად. ურჩია კრებას დაადგინოს, კანონის წინაშე გათანასწორებულ იქმნას ყველა ერი, ხოლო ავტონომია მიენიჭოს იმ ერებს, რომელთაც ისტორიული უფლება აქეთ. ასეთ ერად მ. კოვალევსკი სთვლის ფინლიანდიის, საქართველოს, პოლონეთს და მალოროსიას.

კამათი კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა; შემდეგ თავმჯდომარემ კენჭი უყარა ბიუროს მიერ წარმოდგენილს რეზოლიუციას, რომელიც მიღებულ იქმნა ცოტა შესწორებით. აი რეზოლიუცია დეცენტრალიზაციის შესახებ.

„1. თვითმმართველობის ორგანოები უნდა განაგებდნენ ყოველგვარ ადგილობრივ საქმეს; ამავე ორგანოებს უნდა ჩაებაროს პოლიცია და სხვა დაწესებულება, იმის გარდა, რომლისთვისაც აუცილებლად საჭიროა ცენტრალიზაცია“.

„2. ცენტრალურ უფლებების წარმომადგენელნი თვალყურს უნდა ადევნებდნენ კანონიერ მოქმედებას ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებისას და საეჭვო საგნების გადაწყვეტა უნდა ეკუთნოდეს სასამართლოს დაწესებულებებს“.

„3. ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება გამოსცენ კანონიერ ფარგალში სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ასრულებაც ყველასათვის სავალდებულო იქნება. ამასთან შესაძლო იქნება უმრავლესობა იმ საქმეებისა, რომელიც ეხლა კანონმდებლობითი უფლებას (ВЛАСТЬ) ექვემდებარება, გადავიდეს ამ სავალდებულო დადგენილებათა ფარგალში“.

დეცენტრალიზაციის საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: „დამყარდება თუ არა მოქალაქობრივი უფლებები და ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა საკონსტიტუციო უფლებებით, გაიხსნება კანონიერი გზა ადგილობრივ ავტონომიის განსახორციელებლად“.

ამის შემდეგ კრებამ განიხილა საკითხი კერძოდ პოლონეთის ავტონომიის შესახებ. ეს საკითხი ბიურომ აღნიშნა იმ მოსაზრებით, რომ პოლონეთი წარმოადგენს ერთგვარ კუთხეს, როგორც ეროვნულ, ისე კულტურულ პირობებით, რომელიც ძლიერ განსხვავდება მეზობელ კუთხეებისაგან. ამიტომ საჭიროა მისი ავტონომიურად გამოყოფა, ისე კი, რომ რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობა არ შეფერხდეს.

ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია. კენჭი უყარეს და მიღებულ იქმნა დიდი უმრავლესობით ერთის ხმის წინააღმდეგ.

შემდეგ ამისა განიხილეს და მიიღეს ეკონომიური პროგრამა *).

კრებამ გამოსცა მოწოდება. ამ მოწოდებაში ნათლად არის აღნიშნული ის მიზანი, რომელსაც უნდა მიაღწიოს მომავალ მოღვაწეობაში.

ამით გათავდა კრება.

ილ. ხირხელი.

ახალი ამბავი

◆ მოვაგონებთ მკითხველთ, რომ დღეს, 25 სექტემბერს, **ქართველი ახალგაზდა ქალები** საქველ-მოქმედო აზრით ჰმართავენ სეირნობას ეგრედ წოდებულ ბანკის ბაღში (თავად-აზნ. ქარვასლა). სეირობა იწყება შუადღის 1½ საათზე და გასტანს ღამის 10 საათამდე. იქმნება ბაზარიც და მრავალგვარი გასართობი. სხვათა შორის, ცეკვაც თავ.-აზნ. თეატრის ფოიეში. დიდ-ძალი ნივთები შეუძენიათ და ბაზარი საუცხოვოდ იქმნება მოწყობილი. იმედია, ჩვენი საზოგადოება ყურადღებით მოეპყრობა კეთილის მიზნით განზრახულს სეირნობას.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ მიმდინარე სამოსწავლო წელს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საშუალო სკოლებში მეტი ყურადღება მიექცევა **ადგილობრივ ენების სწავლებას.** სახელდობრ, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების და რეალურ სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში 2 გაკვეთილის მაგიერ ამიერიდან კვირაში 4 გაკვეთილი იქნება, ოთხ კლასში—კი 2 გაკვეთილის მაგიერ იქნება სამი.

◆ სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, **ამნისტია პოლიტიკურ საქმეებისა გამო** გამოცხადდება სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის დაწყების პირველ დღეს.

◆ კობეკოს კომისიას 20 სექტემბერს განუახლებია მუშაობა. კომისია შესდგომია **არა რუსულ პრესის შესახებ** საკითხის განხილვას. კომისიას მიუწვევია სამი პოლონელი და ერთი ებრაელი რედაქტორი.

◆ ტფ. პირველ სავაჟო გიმნაზიის მთავრობას უკვე დაუმტკიცებია წესდება **მოწაფეთა საამხანაგო სასამართლოსი.** მოსამართლეებს აირჩევენ მოწაფენი უფროს კლასებისა (V—VIII კლ.) თავიანთ შორის 12 კაცს ერთის წლის ვადით. მოსამართლენი თავის მხრივ აირჩევენ ერთ მასწავლებელს ხელმძღვანელად. მოსამართლეთა გადაწყვეტილება სავალდებულოა და გაუსაჩივრებელი. სასჯელი იქმნება: ბოიკოტი, საყვედური, ვადიანი და უვადო გამორიცხვა სასწავლებლიდან.

◆ როგორც გავიგეთ, დუშეთის მაზრის ადმინისტრაციის შუამდგომლობა აღუძრავს საგუბერნიო მთავრობის წინაშე, რომ ქვიშხეთის საბოქაულოს **სოფლის საზოგადოებებს** ყოველ წლივ უფასოდ მიეცეთ სახელმწიფო ტყეებიდან სამ-სამი საჟენი შეშა და ნახევარი საჟენი ფიჩხი თვითეულ კომლზე. აღნიშნულ საბოქაულოს გლეხები შევიწროვებულნი ყოფილან უტყეობით და უგზოობით და შეშის მაგიერ დღემდე წივას ხმარობდნენ თურმე. ეხლა ხან გლეხებს საურმე გზა გაუკეთებიათ ოცი ვერსის მანძილზე.

◆ თელავის მაზრის ფშაველის და კარაჯალის მცხოვრებთ 1897 წლიდან მოყოლებული ერთმანეთში განხეთქილება აქვთ სანადელო ადგილების საზღვრების მოუწესრიგებლობის გამო, ამ ბოლო დროს საქმე იქამდე გამწვავებულა, რომ ყოველ დღე **შეტაკებას მოელიან თურმე.** ჯერ-ჯერობით ერთმანეთს თივებს უწვავენ და სხვა ზარალს აყენებენ. სამაზრო ადმინისტრაციას უთხოვნია საგუბერნიო მთავრობისთვის, გაიგზავნოს აღნიშნულ სოფლებში სანადელო მიწების საზღვრების აღსადგენად, გამმიჯნველი კომისია.

◆ 30 აპრილს, 1903 წელს უმაღლესად დამტკიცებულ კანონის ძალით, რომელიც ეხება ამიერ-კავკასიაში **სახელმწიფო გლეხებისა და შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთა** მიწათ-მფლობელობის გაუმჯობესებას, მიწათ-მფლობელობის უფროს მეთვალყურეს ამიერ-კავკასიაში შეუდგენია „ბორჩალოს მიწათ-მფლობელობის გამაუმჯობესებელი კომისია“. ამ კომისიამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს სოფლის საზოგადოებათა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი გლეხთა სანადელო მიწების განსაზღვრის შესახებ. სულ უნდა განისაზღვროს მთელ თრიალეთის საბოქაულოში ორმოცდა-რვა სოფელი. კომისიის პირველი სხდომები დანიშნულია სოფელ დიდ-გომარეთში 2 და 3 ოქტომბერს. დანარჩენ სოფლებშიაც ამ თვეს მოხდება სხდომები. ეს ამბავი აღნიშნულ უფროსს უცნობებია საგუბერნიო მთავრობისთვის და უთხოვნია საჭირო განკარგულების მიხდენა. კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მაზრის უფროსი და მომრიგებელი შუამავალი.

◆ **სომეხ-თათრების შეტაკების დროს** ბაქოში ზარბაზნი დაუშინეს ნავთის-მრეწველთა საავადმყოფოს ეზოს, სადაც თავი მოეყარა სამ თუ ოთხ ათას სომეხს. ხმა დადიოდა, რომ ზარბაზნები უმიზეზოდ დაუშინესო. ამის ბრალს სდებენ ადგილობრივ ჯარის უფროსს გენერალს სვეტლოვს და პოლკოვნიკს ოდიშელიძეს. ეხლა, როგორც „კასპ“-ს გაუგია, ამათ ნამესტნიკისთვის უთხოვნიათ, დანიშნოს ზემოხსენებულ საქმის გამოძიება. გენერალი სვეტლოვი და პოლკ. ოდიშელიძე ამბობენ, საავადმყოფოს ეზოდან თოფებსა და რევოლვერებს ისროდნენ და ამიტომ დავუშინეთ ზარბაზანიო.

◆ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფ. სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სკოლაში ექვს ქართველ მოსწავლეს გამოუცხადებია **სურვილი სომხური ენის შესწავლისა.** არ შეგვიძლია არ მოვუწონოთ მოწაფეთ ასეთი სურვილი: კარგა ხანია საჭიროა ჩვენც ვისწავლოთ მეზობელ ერის ენა...

◆ **ტფილისიდან „ნოვ.“-ს დეპეშით ატყობინებენ:** „პოლიციის უფროსმა გენერალმა შირინკინმა შუამდგომლობა აღძრა, დაინიშნოს სასტიკი გამოძიება 29 აგვისტოს ტფილისის საბჭოში მომხდარ ჟლეტა-ხოცვის შესახებ, დამნაშავენი სამართალში მიეცნენ და პრესას ნება მიეცეს დაწვრილებით აღნიშნოს სამწუხარო ამბავი და საქმის მსვლელობა სასამართლოში“.

◆ „ცნობის ფურცელში“ დეპეშა იყო დაბეჭდილი **ქიათურის ვაჭრის ჩილინგარიანის გაძარცვის** შესახებ. დეპეშაში შეცდომით 5000 მანეთის მაგივრად 500 იყო მოხსენებული. აი საქმე როგორ მომხდარა: ჩილინგარიანის საქმეების გამგეს სტეფანოვს ქიათურის ფოსტაში მიუღია 5000 მ. დასარიგებლად. ჩაუდვია ფული ჯიბეში და წასულა ქიკოურში ოთხი კაცის თანხლებით. ჯერ ერთი ვერსტი არ ჰქონიათ გავლილი, რომ სამი შეიარაღებული და თავ-პირ შეხვეული კაცი თავს დასხმიათ, თოფები დაუმიზნებია და ფული და იარაღი მოუთხოვნიათ. როცა ფული და რევოლვერები მიუღიათ, პერევისის გზას გასდგომიან. პოლიცია მაშინვე დასდევნებია ავაზაკებს. ჯერ-ჯერობით მძარცველები ვერ მიუგნიათ, ხოლო ეჭვი შეუტანიათ ქიათურაში მცხოვრებ შიო ბოტკოველზე, რომელიც კიდევაც შეუპყრიათ. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ ბოქაულის თანაშემწემ პორ. მესხმა, როცა ფულის მისაღებ უწყებას უმოწმებდა, წინადადება მისცა სტეფანოვს პოლიციის დარაჯებს გაგაყოლებო, მაგრამ სტეფანოვმა არ ინდომა.

✓ ◆ გუშინ, 24 სექტემბერს, ტფილისის სასულიერო სასწავლებლის **მოწაფეებმა სწავლას თავი გაანებეს.**

◆ ავლაბრის ახლად გახსნილ პროგიმნაზიაში აპირებენ მესამე კლასის გახსნას წელსვე, თუ მოსწავლეთა სრული კომპლექტი აღმოჩნდება.

◆ 17 სექტემბერს საღამოს რვა საათზე გორის მაზრის **სოფელ მარანას თავს დაეცნენ ვიღაც კაცები.** ერთი ჯგუფი შევარდა კოტე რაზმაძის სახლში და დაიწყო ფულის ძებნა. ამ დროს გზად გაიარა სახლში მიმავალმა დიმიტრი ქუჯაშვილმა, რომელსაც ყაჩაღებმა ესროლეს თოფი და მოჰკლეს. მეორე ჯგუფი დაეცა ზურაბ ხატიკაულიშვილის სახლს, გაიტაცა ექვსი თუმანი ფული და გაიქცა.

◆ ი. ე. გამყრელიძე, დანიშნული ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის დირექტორად, გუშინ შეუდგა ამ თანამდებობის ასრულებას.

◆ ამ ბოლოს დროს **ტფილისში თანდათან ძვირდება უსაჭიროესი საქონელი;** სახელდობრ, შაქარი, 5 მ. 90 კ. მაგიერ ღირს ფუთი 7 მ. 40 კ., ნავთი 1 მ. 30 კ. მაგიერ ღირს ფუთი 1 მ. 80 კ., წვრილ-წვრილად-კი 2 მან.

◆ რადგან ტფ. ქალაქის გამგეობამ განიზრახა ძალით აკრიბა მეეტლეებისაგან გა-

---

*) ეკონომიური პროგრამა უკვე გვქონდა გადმობეჭდილი გაზეთ „რუს. ვედ.“-დან. რედ.

ფელეტონი

პატარა ამბები

სიტყვა თავისუფალია.—უკან დაბრუნება შეიძლება?—ბედი გადაწყვეტილია.—სამოთხეში მშვიდობიანად ვერავინ შევა.

...ჩემო კალამო! გულს ნუ გვიტეხო და ნუ შეგვშინდებით იმ ბასტილიის კედლებს, რომელნიც აღმართულია ჩვენსა და მკითხველს შორის. ათასი, ათი ათასი ვსთქვათ და მაინც მოაღწევს მკითხველამდის და ის ერთი სიტყვაც ძვირფასი იქნება მისთვის, როგორც სალამი, ხმა იმედისა ჯურღმულში ჩაკეტილის და ხელ-ფეხ შებორკილის ადამიანისა. თუ მკითხველს გრძნობა აქვს და ადამიანის გული, ეს ერთი სიტყვაც ბევრს ეტყვის და გადაუშლის წინ ისეთ სურათს, რომელიც უფრო მეტს აგრძნობინებს, ვიდრე დაუსრულებელი მოთხრობა.

დამონებული სიტყვა!.. შეუძლებელია უარესი სასჯელი ადამიანისათვის და არაფერს არ შეუძლია დაახასიათოს ისე საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც სიტყვის მონობა. სიტყვის შებორკვა—ეს შებორკვაა ადამიანის ყოველივე გრძნობისა, მისწრაფების, სურვილის, ფიქრის, მოძრაობის. შებორკვა და შეჩერებაა არა მარტო სულიერ ცხოვრების, არამედ ფიზიკური ცხოვრებისაც. ცხოვრება მოძრაობაა და ყოველი მოძრაობა გამოიხატება გრძნობად და ფიქრად. გრძნობა და ფიქრი-კი ყოველთვის გარდაიქმნება სიტყვად. ჩვენ ვგრძნობთ ამა თუ იმ ხმით, სიტყვით, გამოვსახავთ, გამოვსთქვამთ ჩვენს ფიქრს და გრძნობას. და თუ ადამიანი იძულებულია ძალად დადუმდეს, არა აღაპარაკოს-რა, იგი უნებურად ჰკლავს თავის გრძნობებს და ფიქრებს. და სადაც მკვდარია გრძნობა და ფიქრი, იქ აღარ არის სიცოცხლე, იქ აღარაა მოძრაობა, იქ მკვდარია ადამიანი.

ეს კარგად იციან ბნელეთმა ძალებმა და თუ უნდათ, რომ ქვეყანა გაანადგურონ, დაიმონონ ხალხი, ყველაზე უფრო ადრე ხელს ჩასჭიდებენ ადამიანის სიტყვას და სასტიკ ზომებს მიიღებენ მწერლობის ასალაგმავად...

უსაშინლესი სასჯელია სიტყვის მონობა, აუტანელია ძალად დადუმება, მაგრამ რამდენად უფრო მძიმეა ეს უღელი, იმდენად უფრო გამწარებული იბრძვის ადამიანი ამ უღლის შესამუსრავად. აუარებელი მსხვერპლი შეუწირავს სიტყვის თავისუფლებას და რაგვარი ზომები არ მიუღიათ მის წინააღმდეგ, მაგრამ არასოდეს არ შეწყვეტილა თავგამოდებული ბრძოლა სიტყვის გასანთავისუფლებლად. ეს ბრძოლა მუდამ სისხლიან-სასიცოცხლო იყო. სიტყვის მონობა—ყოველთვის ადამიანის მონობაა და ადამიანი არასოდეს არ დასთმობს თავის თავს. ურიცხვი ადამიანი დაიღუპა სასტიკ ბრძოლაში, მაგრამ ბრძოლა არ შეჩერებულა და არც შეჩერდება, სანამ არ დამყარდება სრული თავისუფლება სიტყვისა. სიტყვის თავისუფლების სიყვარული იმდენადვე ბუნებრივია, ძლიერი და სტიქიური ადამიანში, როგორც სიყვარული სიცოცხლის.

ამიტომ შეუძლებელია მოისპოს მისწრაფება, ბრძოლა სიტყვის თავისუფლებისათვის, თუ ერთიან არ მოისპო მთელი ხალხი, კაცობრიობა. შეიძლება მარტო შეჩერება აზრისა, დროებითი შებორკვა სიტყვისა. ადამიანის აზრი უკვდავია, მისი მოძრაობა არავის არ შეუძლია და რაც უნდა ციხეები შემოავლოთ ადამიანს, რაც უნდა ბორკილები დაადვათ ხელ-ფეხზე, მისი აზრი ყოველთვის გამოხეთქავს, გაარღვევს კედლებს, დაამსხვრევს ბორკილებს და შექმნის სიტყვას... თავისუფალ სიტყვას!

ქვეყანას უფრო დაიქცევა, ვიდრე სიტყვა დარჩება მუდამ დამონებული. ამისი ჯალათების ცდა...

* *

რას ფიქრობს რუსეთი და რა უნდა ვიფიქროთ ჩვენ?

რა იქნება?—რა იქნება ან როგორ იქნება, ნუ გამოვუდგებით დაწვრილებით ამის განხილვას... ყოველ შემთხვევაში დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ უკან დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია. მომხდარ ამბების შემდეგ გზა წარსულისაკენ სამუდამოდ მოგვეთილია. რაც ამბავი მოხდა, რაც ხალხმა თვითონ დაიწყო თავის თავის პატრონობა, თვალი გაახილა, დაიწყო თავის უფლების ძალით დაცვა, ამის შემდეგ რაც იყო, იმის აღდგენა არაფერს არ ძალუძს.

ხალხმა უკვე მსხვერპლი კმაოდ მოამზადა მომავლისთვის და არ არავის არ დაუთმობს ამ მომავალს. ეს მომავალი ძვირფასია და საყვარელი ხალხისთვის მარტო იმიტომ-კი არა, რომ მომავალში ხედავს თავისუფლებას და ერთობას, ხედავს შრომას სამეფოს, ადამიანურ ცხოვრებას, თავის პირობების აღდგენას, არამედ იმიტომაც, რომ მსხვერპლი კმაოდ მისთვის... ძვირფასია ის, რაც ჩვენ ძვირად გვიღირს. დედას ის შვილი უფრო მეტად უყვარს, რომლისთვისაც მას მეტი გაჭირვება გამოუვლია. რაც ძნელად მოგვდის, ის არის ძვირფასი და საყვარელი. თავისუფალი ცხოვრება ძვირფასია, რადგან მასთან შეერთებულია ბრძოლა, ბრძოლა-კი იწვევს თავგანწირულებას, გმირობას, ადამიანის ამაღლებას, პირადობის დავიწყებას საერთო საქმისათვის.

ხალხს უკვე თავისი გმირები ჰყავს, კეთილშობილნი და თავგანწირულნი, მათ სახელებს არასოდეს არ დაივიწყებს და ადიდებს მათ წინაშე. ხალხს აქვს ძვირფასი ადგილები, რომლებიც ტაძარია დღეს მისთვის...

ხალხი არ დაბრუნდება უკან, რადგან იგემა სიტკბოება ადამიანურ არსებობისა, არ შეურიგდება, რომ ხელ-ახლა უღელი დაადგას კისერზე. მონა თვალად რჩება მონად, მაგრამ თუ ერთხელ იგემა თავისუფალი ჰაერი, ან მოკვდება, ან იცხოვრებს თავისუფლად.

უკან დაბრუნება შეუძლებელია!

როგორც რომაელები იტყოდნენ: alea iacta est, ბედი გადაწყვეტილია. მხოლოდ სიკვდილი მოაშორებს ხალხს იქ, სადაც იყო. არასოდეს არ მივა იმათთან, რომლებიც დამარხა. არ მოანდომებს, რომ საკუთარის ხელით გადაუყაროს მიწა სასაფლაოდან და აღადგინოს ისინი, რომელთაც ხელში ინკვიზიციის ჩანგლები უკავიათ ხალხის საწამებლად. ხალხი არ აღადგენს თავის მტრებს და ნურავინ მოუწოდებს, რომ იტიროს თავის მტრების საფლავებზე.

ხალხი არ უღალატებს დაწყებულ საქმეს, რადგან ამ საქმისთვის ბრძოლაც ამაღლებული და გამაკეთილშობილებელია ხალხისა. ადამიანი უკვე ბედნიერია, როდესაც იბრძვის ადამიანურ ცხოვრებისათვის და იმდენად ახალი, თავისუფალი, სამართლიანი ცხოვრება-კი არ ავითარებს და ამაღლებს ადამიანს, რამდენად ბრძოლა, მეცადინეობა, თვის გამოდება ასეთ ცხოვრების მოსაპოვებლად.

ბევრად უმჯობესია უზომოდ იტანჯებოდეს ხალხი, აუტანელ გაჭირვებას იტანდეს ბრძოლაში, ბრძოლაში დაიღუპოს საქმისათვის, ვიდრე მშვიდობიანად სცხოვრობდეს მონად. უმჯობესია ბრძოლა, თუნდ ეს ბრძოლა წაგებიანი იყოს, უმჯობესია კაცმა თავი დასდოს ადამიანურ ცხოვრების მოპოვებაში, ვიდრე იცხოვროს არა ადამიანურად...

ხალხი დაადგა ახალ გზას და არც ერთი მის ერთგულ მეგობარს არ შეუძლია, სხვა გზა ურ-

დასახადი, გუშინ, 24 სექტემბერს, **მეეტლენი გაიფიცნენ** და ბირჟაზედ აღარ გამოვიდნენ. თან პოლიციასაც შეატყობინეს, რომ გაფიცვა ქალაქის გამგეობამ გვაიძულაო. გუშინ პოლიცმეისტერი იყო მოურავის მოადგილესთან ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად.

✦ ტფილისელ **ბერძენთა ერთ წრეს** განუზრახავს დაარსოს ბერძნული წიგნების გამომცემელი **საზოგადოება**, ბერძნებს განუზრახავთ აგრეთვე **საქველმოქმედო საზოგადოების** დაარსება.

✦ იმ საფოსტო მატარებლიდან, რომელიც **ყარსთან გაძარცვეს**, წაუღიათ ფულად **6,635 მან.**

✦ ტფილისის **ხაზინის კასის გამგეობამ** შუამდგომლობა აღძრა წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ.

✦ გორის მაზრის უფროსმა და გორის ქალაქის მამასახლისმა შუამდგომლობა აღძრეს ნება მიეცეთ **დაარსონ გორში საქველმოქმედო საზოგადოება.**

✦ ნამესტნიკის ბრძანებით ბოქაულად ხამფის გდებოვს, **რომელიც ყუმბარით დასჭრეს**, სამკურნალოდ **200 მანეთი მიეცა.**

✦ ტფილისის **სამაზრო სამმართველო** გუშინ **გადავიდა მიხეილის ქუჩაზე, კარალოვის სახლში № 213.**

✦ 21 სექტემბერს დილომში ვიღაც კაცები დაეცნენ თოთრის დუქანს. ვაჭრის მიხეილ მხითაროვისათვის წაურთმევიათ ვერცხლის ქამარი და სხვა ნივთები; მხითაროვს განუცხადებია, რომ ჩემი გამცარცველი დარაჯის ფორმის ტანისამოსში იყო გამოწყობილი, ჰქონდა ბერდანის თოფი, რევოლვერი და საპატრონე პატრონებით სავსეო. მეორე დღეს ამავე კაცებს სოფელ ჭოპორტის მცხოვრების ლანანაშვილისთვის წაურთმევიათ ვერცხლის ხანჯალი, ფულად 125 მან. და სხვა ნივთები.

✦ 17 ენკენისთვეს, როცა სარბევში (ქუთაისის მაზრა) მუშაობის შემდეგ ნ. ლორთქიფანიძე სიმელნიკოვთან ერთად კოლა აბულაძის დუქანში შევიდნენ, იქ დახვდნენ ვარლამ გეურგაძე, ნ. კიკვაძე, ალ. აფრიდონიძე და სხვ. თვალის დახამხამებაზე წაართვეს „სმიტინისა და ვესონის“ რევოლვერი და სხვ. რიონისაკენ წავიდნენ, უმეტესი ნაწილი ამ პირებისა დაატუსაღეს.

✦ 12 სექტემბერს საღამოს 8 საათზე ს. აბაშის მახლობლად სასიკვდილოთ დასჭრეს ფილიპე კორძახია. ეჭვი მიტანილია კორძახიას ძიძის შვილზე დავით ქვიავაზე, რომელთანაც მოკლული ნაჩხუბრად ყოფილა.

ქუთაისის საგუბერნიო საერობო საბჭო

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

16 სექტემბერს საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა ქალაქის თეატრში გადაიტანა. თეატრი მალე გაივსო გარეშე საზოგადოებით, რომლის უმეტესობაც ახალგაზრდობა შეადგენდა.

თავმჯდომარემ აცნო კრებას, მთავრობამ შეიწყნარა ჩვენი შუამდგომლობა და ჩვენს სხდომებზე დასასწრებლად ქართული ენის მცოდნე პირთ გამოჰგზავნიანო. მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს კიდეც გამოუგზავნა წარმომადგენლად ქართველი ბ-ნი დოდაშვილი-მალარელი.

შორაპნის მაზრის სათათბიროს ოქმის წაკითხვის შემდეგ ბ-ნმა ს. რობაქიძემ განაცხადა: ნამესტნიკის ინსტრუქციის ძალით კრებაზე დამსწრე გარეშე საზოგადოებას ნება არა აქვს თათბირში მონაწილეობა მიიღოს; ამიტომ მე პროტესტს ვაცხადებ საზოგადოების უფლების ასე შეზღუდვის გამო და ვთხოულობ, რომ გარეშე პირთაც მიეცეთ სათათბირო ხმის უფლებაო. ბ-ნი კ. ჩხეიძეც ეთანხმება ბ-ნს რობაქიძეს და სთხოვს თავმჯდომარეს, თუ პირდაპირ არ შეიძლება ამ საკითხის გადაწყვეტა, კენჭი მაინც უყარეთო. თავმჯდომარემ შეუძლებლადა სცნობს როგორც პირველის, ისე მეორე თხოვნის დაკმაყოფილებას: ჩვენ ინსტრუქცია გვაქვს მოცემული და ამ ინსტრუქციას ვერ გადავცილდებითო. ერთი წარმომადგენელი მოახსენებს თავმჯდომარეს, თეატრში იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი და ისეთი აღელვება ეტყობა, რომ, თუ წესიერების დაცვა გვინდა, უსათუოდ უნდა მივცეთ მათ სათათბირო ხმის უფლება; მხოლოდ, სხდომები რომ ძლიერ არ გაგრძელდეს, თავმჯდომარეს უფლება ექმნეს გარეშე პირთაგან განსაზღვრულ რიცხვს მისცეს ლაპარაკის ნება. ჩემის აზრით, ეს დააკმაყოფილებს საზოგადოებას. ბ-ნი ებანოიძე თანახმა არ არის, რომ ყველას მიეცეს ხმის უფლება. ს. რობაქიძე იმეორებს თავის პირველ განცხადებას და თან უმატებს: თუმცა ჩვენ ხალხის მიერ ამორჩეული წარმომადგენლები ვართ, მაგრამ არც ჩვენა ვართ უცოდველი რომის პაპი და ჩვენც ბევრი შეცდომები მოგვივა. ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია გარეშე საზოგადოებამაც მიიღოს მონაწილეობა თათბირში და დაგვეხმაროს წარმომადგენლებს სხვა და სხვა საკითხის განხილვაში.

გ. ფ. ზდანოვიჩმა სთქვა, აქ განაცხადეს, თეატრში ხალხია მოსული და უსათუოდ მათ სათათბირო ხმის უფლება უნდა მივცეთო. მე მგონია, ეს შემცდარი შეხედულებაა, რადგან აქ ნამდვილი ხალხი-კი არა, შემთხვევითი საზოგადოებაა თავმოყრილი. მეორეს მხრით, აქ შეკრებილნი არიან ხალხის მიერ ამორჩეული წარმომადგენელნი, რომელთა მოვალეობა სწორედ ისაა, რომ ხალხის მაგივრად ილაპარაკონ კრებაზე და დაიცვან მისი ინტერესები. არც ერთს განათლებულ ქვეყანაში არ მომხდარა, რომ ხალხის მიერ ამორჩეულ წარმომადგენელთა კრებაზე თვითონ ხალხსაც მიეღოს მონაწილეობა. თუ აქ დამსწრე გარეშე საზოგადოებას ხმის უფლება მიეცა, ადვილად შეიძლება რომელიმე პარტიამ თავისი მომხრეებით აავსოს თეატრი, თავის გავლენით ძალა დაატანოს წარმომადგენლებს და ხელი შეუშალოს საკითხების დამშვიდებით გარჩევას. ყოველ კულტურულ სახელმწიფოში ასეთ შემთხვევებისათვის შემუშავებულია დისციპლინა, და ჩვენც უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ დისციპლინით, თუ გვინდა რომ წესიერება იქნეს დაცული და აღძრული საკითხები სასურველად იქნეს გადაწყვეტილიო.

ბ-ნი ზდანოვიჩის სიტყვამ საზოგადოების ზოგიერთ წევრის მხრით უკმაყოფილება გამოიწვია, რამაც საქმე ძლიერ გაამწვავა და საზოგადოებაში ჩოჩქოლი ჩამოვარდა. ამ დროს ერთმა წევრმა მეორეს ჯაშუში უწოდა ამას მოჰყვა ჰაერში რევოლვერის სროლა. ამან შეშინებულ საზოგადოებას მთლად თავზარი დასცა და ყველანი კარებს მიაწყდნენ. თეატრი მალე დაიცალა. თავმჯდომარემ სხდომა შემდეგის დღისათვის გადასდო.

იმერეთის სამღვდელოების კრება და ტიპი ახალ სასწავლებლისა

კრება დაიწყო 21 სექტემბერს. კრებამ პირველადვე თანაგრძნობა გამოუცხადა ქართლ-კახეთის სამღვდელოებას 31 მაისის მომხდარ ინციდენტის გამო. ამის შემდეგ კრება შეუდგა საგნების განხილვას.

პირველი საკითხი შეეხებოდა სკოლას, ე. ი. სასულიერო სასწავლებლებს. როგორც კრებაზე აღმოჩნდა, მას შემდეგ, რაც ამერეთ-იმერეთში სასულიერო სასწავლებლები დაიხურა, ერთი ჯგუფი ადგილობრივ სამღვდელოებისა შეუდგომია პროექტის შედგენას კავკასიაში სასულიერო სასწავლებლების გარდაქმნის შესახებ. ეს პროექტი განსახილველად წარუდგინეს დღევანდელ კრებას. პროექტში დაწვრილებით არის აღნუსხული ის უმთავრესი ნაკლულევანებანი, რომლებიც ჩვენ სასულიერო სასწავლებლებს თან ახლავს. სხვათა შორის, პროექტში ნათქვამია: 1904—5 წლებს მთელ დასავლეთ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში კურსდამთავრებულთაგან ტფილისის სემინარიაში $2^0/_0$ მიიღეს და რუსეთის სემინარიებში $15^0/_0$, დანარჩენი $83^0/_0$ დარჩა ღვთის ანაბარად. ამ წლის შემდეგ კიდევ უფრო გაძნელდა სემინარიებში შესვლა. ამ ჟამად ჩვენს სასულიერო სასწავლებელს ერთი ტფილისის სემინარია აქვს, სადაც უნდა 30 მოწაფე მიიღონ, დანარჩენები ქუჩაში უნდა დარჩნენ. გარდა ამისა, — განაგრძობს პროექტის ავტორი, — ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის სისტემა ანტიპედაგოგიურია და დაყენებულია არა სასურველ ნიადაგზე.

სასულიერო სასწავლებლებმა თავის დაძველებულ-დახავსებულ პროგრამით თავისი დრო დიდი ხანია მოჭამა. ამის გამო აღნიშნულ ჯგუფს სამღვდელოებისას კავკასიისათვის შეუმუშავებია ერთგვარი ტიპი სასწავლებლისა რვა წლის კურსით. სახელად ამ სასწავლებელს ეწოდება სასულიერო რეალური სასწავლებელი. სახელწოდება „სასულიერო“ იმის აღსანიშნავი იქნება, რომ იგი საკუთრება იქნება სამღვდელოებისა, სადაც, რასაკვირველია, თუ ადგილი იქნება, ერის კაცის შვილებსაც მიიღებენ. პირველ 7 კლასში შემდეგ საგნებს ასწავლიან.

1. საღვთო სჯული, კატეხიზისი, საეკლესიო ისტორია, რუსულ-ქართული, და ღვთის მეტყველება (ყველა კლასებში ქართულ ენაზე) კვირაში 18 გაკვეთილი;
2. რუსული ენა, სიტყვიერება და ისტორია მწერლობისა . . . . 24 გაკვ.
3. გეოგრაფია და სამოქალაქო ისტორია 16 „
4. არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია და ფიზიკა . . . . 23 „
5. საბუნებისმეტყველო ისტორია (ყველა კლასებში ქართულად) . . . . . 9 „
6. ქართული ენა, სიტყვიერება, მწერლობა, გეოგრაფია, სამოქალაქო ისტორია საქართველოსი . . . . 20 „
7. გერმანული ენა . . . . 18 „
8. ფრანგული ენა . . . . 18 „
9. ლოღიკა . . . . 2 „
10. ფსიხოლოგია . . . . 3 „
11. ფილოსოფია . . . . 3 „
12. პედაგოგია . . . . 2 „
13. გალობა, რუსულ-ქართული საეკლ. ხალხური . . . . 8 „
14. სუფთა წერა რუსულ-ქართული 2 „

მერვე კლასში მოწაფეები ორ ჯგუფად გაიყოფიან: პირველი ჯგუფი, რომელნიც არ მოისურვებენ უსახსრობის გამო მაღალ სასწავლებელში წასვლას და მეორე — რომელნიც მოისურვებენ წასვლას აკადემიებსა და უნივერსიტეტებში. პირველი ჯგუფი მერვე კლასში ანუ მერვე წელიწადს შეისწავლის მედიცინას ჰიგიენით, სამეურნეო ცოდნას, დიდაქტიკას და სხვ. მეხუთე კლასიდან შემოღებული იქნება მეცადინეობა საღამოობით, საეკლესიო ხატვისა, წიგნების აკინძვისა და მუსიკის შესასწავლად.

სამღვდელო პირების მოსამზადებლად კურსდამთავრებულთათვის დაარსებული იქნება ორი წლის საღვთის-მეტყველო კურსები, სწავლა ქართულად იქნება. ამისი პროგრამა: საღვთო წერილი, ლიტურგიკა, საეკლესიო ისტორია, კანონიკა, ხვთის მეტყველება და კომილეტიკა. ამ საგნებს ასწავლის მღვდელი. სასწავლებლის კორპორაცია შესდგება: დირექტორის, ინსპექტორის, მასწავლებლებისა და აღმზრდელებისაგან. ესენი, გარდა უკანასკნელებისა, უსათუოდ უმაღლეს სწავლით უნდა იყვნენ აღჭურვილნი — მასთან ერის კაცები. ამ სასწავლებლის შესანახად გამოანგარიშებულია, 18,000 მან. და თუ სასწავლებელს პარალელურ კლასებს გაუხსნიან, ხარჯი 9,000 მანეთით გადიდდებაო. ასე რომ სულ სასწავლებლის შენახვა პარალელურ განყოფილებებით სამღვდელოებას დაუჯდება 27,000 მან. ამ ჟამად-კი სამღვდელოებას სასულიერო სასწავლებლის შენახვა გაცილებით მეტად უჯდება.

ეს პროექტი კრებამ მოიწონა და მისი განხორციელება სასურველად სცნეს. კამათი კი მოიწვია ამ საკითხმა, თუ რა ექნათ აწ არსებულ სასწავლებლისათვის, რომელშიაც 500-600 ბავშვი სწავლობს. ბევრი რამ გამოითქვა, მაგრამ გადამწყვეტი მაინც ვერაფერი გადასწყვიტეს და რადგან გვიან იყო, კრება მეორე დღისთვის გადაიდო.

22 სექტემბერს კრებას ეპისკოპოსმა უჩვენა, ეხლავე შევიტანოთ ახალი პროგრამა სასწავლებელში და სწავლა დავიწყოთო. პირველ კლასში სწავლა ახალი პროგრამით იქნება და 2, 3 და 4 ძველის პროგრამით, მასთან ეს უკანასკნელები თან და თან დავხუროთო. მოსახერხებლად ვერც ესა სცნეს, ვაი თუ ახალი პროექტით სასწავლებელი არ მოგვცენ და უხერხულ მდგომარეობაში ჩავცვივდებითო. ეს დღეც ამ საკითხს მოანდომეს და, როგორც იქნა, დაადგინეს შემდეგი: დაიხუროს სასულიერო სასწავლებელი იმ დრომდე, სანამ ახალ პროექტით არ დაგვიარსებენ სასწავლებელს. მასთან ეთხოვოს ეპისკოპოსს, რაც შეიძლება საჩქაროთ იქონიოს აღძრული შუამდგომლობა პროექტის განხორციელების შესახებ. ეს პროექტი გურია-სამეგრელოს ეპარქიას უკვე მიუღია; ქართლ-კახეთის სამღვდელოებას თვით ეპისკოპოსი გააცნობს.

პრესსა

საერობო და საქალაქო მოღვაწეთა კრების პროგრამმას გაზეთი „ნოვოე ვრემია“ ჯერ დიდის სიხარულით, დიდის ზათქითა და ზეიმით მიეგება, ეხლა კი ფრონტს იცვლის და მკვახედ ჰკიცხავს იმავე პროგრამას. ზოგიერთ საგნების შესახებ კრებამ მეტად უნიადაგო იდეალები შეიმუშავა, ასე რომ თვითონაც ჰგრძნობს ამ უნიადაგობას და საჭიროდ სთვლის მათ შესახებ ხალხისადმი მიმართულ მოწოდებაში ან სულ არაფერი არა სთქვას, ან ზოგადის სიტყვებით დაკმაყოფილდესო. მკითხველი თვითონაც მიჰხვდება, რომ „ნოვოე ვრემიას“ აზრით, ასეთი უნიადაგო იდეალი ყოვლის უწინარეს რუსეთის ფედერატიული წყობილებაა. „ნოვოე ვრემია“ მაინც გულს იკეთებს, „ბოლოს ბოლოს კრებამ მხოლოდ პოლონეთის ავტონომია მიიღო, და ამის შესახებაც ისეთი ბუნდოვანი დადგენილება შეიმუშავა, **რომელიც სხვა და სხვა ნაირად შეიძლება აიხსნას“.**

პოლონეთს სრული უფლება აქვს ფართო თვითმმართველობაზე, განაგრძობს გაზეთი, და საეჭვოა, ამ აზრს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდეს თუნდ რეაქციონერთა შორის. მაგრამ აქედან სრულებით ის დასკვნა არ გამოდის, რომ სახელმწიფო სათათბიროს გახსნის უმალვე წამოყენებული იქმნას საკითხი პოლონეთის ავტონომიის შესახებ და თანაც ლაპარაკი გაჩაღდეს სახელმწიფოს ფედერატიულად მოწყობაზე. სამართლიანობა მოითხოვს, ჯერ ის საგნები იქმნას მოწყობილი, რომლებიც მთელს რუსეთს შეეხება, და არა იმის ნაწილებს. განცალკევებულ ნაწილებს მხოლოდ იმდენად აქვთ უფლება უპირატესობაზე, რამდენადაც ისინი შევიწროვებულნი იყვნენ. პოლონეთს თვითმმართველობა არა ჰქონია და ეხლა უნდა მიეცეს. სრულ ავტონომიაზე კი მხოლოდ მაშინ უნდა ჩამოვარდეს სიტყვა, როდესაც გაჩნდება საერთო საკითხი მთელ სახელმწიფოს ავტონომიურად მოწყობის შესახებ.

შემდეგ „ნოვოე ვრემია“ ეკამათება იმათ, ვინც კრებაზე განაპირა ქვეყნების და არა რუსეთისთვის ავტონომიას სთვლიდა საჭიროდ, სხვათა შორის მ. მ. კოვალევსკს.

რუსეთის შიდა გუბერნიები ყველაზე მეტად საჭიროებენ ფართო თვით-მმართველობას. თუ განაპირა ქვეყნებს პოლიტიკურ თავისებურობის გამო სჭირიათ ავტონომია, შიდა გუბერნიებს უფრო შეურყეველი უფლება აქვთ თვით-მმართველობაზე, რომ როგორმე დააღწიონ თავი იმ ეკონომიურ მონობას, რომელიც ჩვენმა წინდაუხედავმა საფინანსო პოლიტიკამ შექმნა. ნუ თუ ბ-ნი კოვალევსკი ვერა ჰხედავს, რომ ჩვენი შიდა რუსეთი თანდათან რამდენისამე სამრეწველო ცენტრის, უმთავრესად პოლონეთის კოლონიად გადაიქცა? შიდა გუბერნიები ვარშავისა და ლოძის რაიონებისთვის ისე ისევე როლს თამაშობენ, როგორსაც ინდოეთი ინგლისისთვის.

ამის შემდეგ „ნოვოე ვრემია“ ბრძნულად გვიხსნის, შეძლებული ადამიანი ყოვლის უწინარეს პოლიტიკურ თავისუფლებას დაეძებს, ამ თავისუფლებას აყენებს ყველაზე მაღლა და ამ საზომით ჰზომავს იმ ნახევრად დამშეულ ხალხის საჭიროებასაც, რომელსაც ყველაზე უწინ პური ესაჭიროება.

შეძლებულ ხალხს ჰგონია, რომ [illegible] მხოლოდ პოლიტიკური პირობებია საჭირო და ეკონომიურ მდგომარეობას ყურადღებასაც არ აქცევენ. ამიტომ შეიგნეს და შეითვისეს საერობო მოღვაწეებმა პოლონეთის მოთხოვნა, რომელიც წამოაყენეს მაძღარმა, შეძლებულმა და კარგად გამოწყობილმა პოლონელმა წარმომადგენლებმა. შიდა გუბერნიების ნახევრად მშიერ ხალხს კი არა ჰყავს ისეთი კაცები, რომ ეკონომიურ ავტონომიაზე ამოიღონ ხმა...

ჩვენ ვიცნობთ, რაც შვილები ბრძანდებიან „ნოვოე ვრემიას“ გმირები, და არც გვიკვირს, რომ ისინი ასე ჰკიცხავენ რუს მოღვაწეებს, რომელთაც თითქო იმიტომ დაეწყოთ ავტონომიებზე ლაპარაკი, რომ მეტად მაძღარნი იყვნენ და საჭმლის მონელება უნდოდეთ. „ნოვოე ვრემია“ ჰგრძნობს, რომ საერობო მოღვაწეთა კრებამ ჯეროვანი პრაქტიკული სიმტკიცე არ მისცა ავტონომიის და ფედერაციის აზრს, ჰხედავს, რომ რუსეთის რადიკალი ლიბერალები მაინცა და მაინც ახლო მომავალში არ აპირობენ ავტონომიების შექმნას და ამიტომ ჯერხანად თავის ჩვეულებრივ სიმკაცრეს არ აჩენს, მაგრამ ეხლაც-კი ცხადად სჩანს, რა საშინელი სიტყვაა იმისთვის „ავტონომია“.

თათბირი ტფილისის საბჭოს ყოფილ ხმოსნებისა

28 სექტემბერს ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ მიიწვია საბჭოს ხმოსნებად ნამყოფნი და გამართა კერძო თათბირი. დაესწრო 48 კაცი. თავმჯდომარემ დამსწრეთ აცნობა სიტყვიერი წინადადება გენერალ-გუბერნატორის ქილიაისა, რომ კარგი იქნება საბჭოს ყოფილმა ხმოსნებმა თავიანთი განცხადება სამსახურის თავის დანებების შესახებ უკან წაიღონ და განაგრძონ მუშაობაო.

ხმოსნები ამის გამო მუხლ-მუხლად შეუდგნენ იმ განცხადების განხილვას, რომელიც 39 ხმოსანმა სათანადო მთავრობას წარუდგინა 31 აგვისტოს. კრებამ საჭიროდ სცნო: 1. გაუქმდეს საომარ დროის და გაძლიერებული დაცვის წესები, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ 29 აგვისტოს სისხლის ღვრა შედეგია ამ წესებისა. საომარ დროის წესები რომ არ ყოფილიყო, ტფილისი ძალ-მომრეობის მოედნად არ გადაიქცეოდა და არ გახდებოდა მოწამე შეიარაღებულ ყაზახ-რუსების მიერ უიარაღო და მშვიდობიან მცხოვრებთა ამოხოცვისა. თუ სამხედრო „საომარ-დროის წესები დარჩება, შეიძლება სისხლის ღვრა განმეორდეს უფრო ძლიერად. გარდა ამისა საიდუმლო არავისათვის არაა, რომ დღევანდელ მოძრაობამ ფეხზე დააყენა არა თუ ჩვენი კუთხე, არამედ მთელი რუსეთი და სამხედრო წესმა-კი უფრო გაამწვავა საქმე.

2. კრებისა და წერის თავისუფლების შესახებ ხმოსნებმა გამოსთქვეს, რომ ამ უფლებების მიცემა შესაძლებელია საკანონმდებლო წესით, მაგრამ თუ მთავრობას სურს დახმარება გაუწიოს ჩვენს მხარეს, ისეთის შეღავათით მაინც უნდა მოეპყრას, როგორც ექცევიან მოსკოვის, კიევის, ოდესის და სხვა ქალაქების გამოცემებს. პრესსას უფლება უნდა ჰქონდეს შეეხოს ყველა იმ საჭირბოროტო საკითხს და მოვლენას, რომელიც აინტერესებს და აღელვებს ხალხს. სიჩუმით საქმე არა კეთდება, რადგან არა ლეგალური მწერლობა მაინც ახერხებს გამომჟღავნებას. გარდა ამისა საბჭოს სრულიად არ შეუძლიან გავლენა იქონიოს მცხოვრებლებზე. ადგილობრივი პრესა იმდენად შევიწროვებულია, რომ საბჭოს სხდომის ანგარიშებიც ვერ იბეჭდება თავისუფლად. რაც შეეხება კრების თავისუფლებას, უნდა საქმე ისე მოეწყოს, როგორც გენერალ მალამას მიერ ნამესტნიკის თანამდებობის ასრულების დროს იყო, როცა ქალაქის თვით-მართველობის შუამდგომლობით მუშებს კრების ნება ეძლეოდათ, და გაფიცვებიც მშვიდობიანად თავდებოდა. ხალხს სწყურიან თავის აზრების და გრძნობების გამოთქმა, ხალხის გულში ზღვასავით მოგროვდა მწუხარება და ცრემლი. 3. ხელშეუხებლობა პირადობისა, რასაკვირველია, მხოლოდ კანონმდებლობით შეიძლება დამყარდეს, მაგრამ ყოველ კერძო კრებაზე ეს საქმე დამოკიდებულია ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან. ამიტომ ხმოსნებად ნამყოფნი საჭიროდ სცნობენ, რომ საბჭოსა და ყველა იმ კრებაზე, რომლებიც ქალაქის თვითმმართველობის დახმარებით მოხდება, უზრუნველ ყოფილ იქმნას ხელშეუხებლობა პირადობისა. გარდა ამისა ქალაქის სახლის პატრონად ქალაქის თვით-მართველობა

ნოს. ხალხის და ქვეყნის სიყვარული ისკი არ არის, რომ გეყვარდეს ხალხი, როგორიც არის დღეს. თუ ნამდვილად გიყვარს, არ შეგიძლია არ უსურვო, რომ იყოს თავისუფალი და სამართლიანი. არ შეგიძლია, გიყვარდეს ჩვენი ქვეყანა, როგორიც უნდა იყოს იგი: მონების და უსამართლობის სამშობლო არ არის საყვარელი, და უკეთესია, სრულად განადგურდეს, მოისპოს, ვიდრე არსებობდეს ასე, როგორც არსებობს.

განა საყვარელია ხალხი, თუნდ ის ჩვენი მშობელი ხალხი იყოს, თუ თავს არ გამოიდებს სამართლიანობისათვის, ხმას არ აამაღლებს თავისუფალ არსებობისათვის? არა კმარა მარტო ის, რომ ქვეყანა ჩვენი სამშობლო ქვეყანაა!..

* *

ამდენხანს უნდა მეთქვა, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ ვერა ვსთქვი „დამოუკიდებელ მიზეზების“ გამო.

„მშვიდობა გვამთა თქვენთა!“ გეტყოდით ფანაშვილთ მსხვერპლებს, მაგრამ ეს არ შეეფერება თქვენს ბუნებას.

რა მოაქვს თქვენთვის მშვიდობას? რად გინდათ მოსვენება? განა არის ამ მშვიდობაში რამე გარდა შერცხვენისა, დამცირებისა, შეურაცხყოფისა, უსამართლოდ დაჩაგვრისა და ფეხით გათელვისა? „მშვიდობა“, განა იმიტომ რომ ყოველ მხრიდან დევნილნი იყავით, მოგისპეს ყოველგვარი უფლება, აგიკრძალეს ხმის ამოღება, სიცილი, ტირილი, ცრემლის გადმოგდება საყვარელ გვამის წინაშე?

„მშვიდობა“, იმიტომ, რომ ყოველთვის მშიერნი და შიშველნი იყავით, გშიოდათ და გწყუროდათ და თქვენთვის არ იყო არც საჭმელი და არც სასმელი, თქვენი ცოლ-შვილი შიმშილით კვდებოდა, ავადმყოფს დედას სული ხდებოდა და შველა, შებრალება არსაიდან იყო?

„მშვიდობა“, რისთვის? განა მუდამ გაძარცულნი და დაჩაგრულნი არ იყავით? დღე და ღამ მწარე ოფლს არ ღვრიდით და თქვენის ნაოფლარით სხვები არ ქეიფობდნენ და არ მოილხენდნენ? არც ზამთარში, არც ზაფხულში მოსვენება არ იცოდით, მაშინ, როდესაც თქვენი სისხლის მწოველები ტკბილად და ბედნიერად მოისვენებდნენ!..

მშვიდობით, მოსვენებით იყავით განა სიცოცხლეში? ერთი საათი ტკბილად არ დაგიძინიათ, მუდამ შევიწროება, ჩაგვრა, ტანჯვა, გაჭირვება, უსამართლობა, ძალმომრეობა, სულის შეხუთვა, კიდევ ტანჯვა, ტანჯვა, დაუსრულებელი, გაუთავებელი ტანჯვა.

და ახლა უნდა განისვენოთ, მშვიდობით იყოთ? დაივიწყოთ ყველაფერი, ყოველივე სამწარე, აღარ გახსოვდეთ მჩაგვრელები და მძარცველები? მერე შეგიძლიათ ეს, ასე წარხოცოთ ყველაფერი, გარდაქმნათ თქვენი ბუნება, დაივიწყოთ, რაც შეურაცხებელად გახსოვდათ და სისხლს გწოვდათ დაბადებიდან სიკვდილამდე, რაც უღმრთოდ გართმევდათ შვილებს, ძმებს, მეგობრებს?..

„მშვიდობა“, — რა მწარე დაცინვაა! რად გინდათ ეგ მშვიდობა? ან რამ უნდა მოგანიჭოთ მშვიდობა, რატომ უნდა დაივიწყოთ შეურაცხმყოფელი, მჩაგვრელი, მწამებელი, რატომ უნდა დაწყნარდეთ? მშვიდობით არიან ბედნიერნი, კმაყოფილნი, მაძღარნი! თქვენ-კი რა გაქვთ ან რა გქონიათ საამისო?! თქვენ არ იცოდით, რა იყო კმაყოფილება და ბედნიერება? მუდამ ტანჯულნი და ჩაგრულნი მხოლოდ უბედურებას ხედავდით, იგი იყო მხოლოდ თქვენი სტუმარი...

მშვიდობით განისვენოთ? რატომ უნდა განისვენოთ, განისვენოთ მშვიდობით? ვის შეუძლია, გითხრათ ასეთი განსვენება! ეს განსვენება ხომ თავის-თავის უარყოფა იქნებოდა თქვენთვის, დავიწყება იმისა, რაც შეადგენდა მთელი თქვენი სიცოცხლის შინაარსს, რასაც ასე თავგამოდებით ემსახურებოდით, შესწირეთ სიცოცხლე.

„მშვიდობა“, მშვიდობას მოიპოვებენ მხოლოდ ისინი, ვინც განახორციელეს თავისი მიზანი, და თქვენ მიზანი განუხორციელებელი არ დაგრჩათ? ეს მიზანი მუდამ თვალ წინ გიდგათ, მას შესწირებიხართ, მის გარშემო ტრიალებს თქვენი აზრი და ფიქრი, და სანამ არ განხორციელდება მიზანი, არ დამშვიდდებით, არ დაწყნარდებით.

არ დამშვიდდებით, სანამ აღვირ აშვებული იქნება მტერი, დაუსჯელად ითარეშებს, აწამებს და აჩაგრავს თქვენს ძმებს და შვილებს. არ დამშვიდდებით, სანამ ბოლო არ მოეღება უსამართლო ცხოვრებას, რომელმაც იმსხვერპლა ამდენი ადამიანი, სანამ თქვენს ბნელ სოფლებს არ შეაშუქებს თავისუფლების სხივი, სანამ არ გაიგონებთ მტრის უკანასკნელ სუნთქვას, სანამ გამარჯვებულებს ხმით არ მოგესალმებიან ძმები და ამხანაგები.

„მშვიდობა გვამთა თქვენთა!“. ნურავინ იტყვის დღეს: ეს ტყუილია, ეს დანაშაულობაა. მშვიდობა და მოსვენება მხოლოდ გამარჯვებით მოიპოვების. მხოლოდ გამარჯვება დაგამშვიდებთ და დაგაწყნარებთ... მანამდის კი ვერ მოისვენებთ.

* *

აღარ არის მოსვენების დრო და ვისაც მოსვენება უნდა, სხვა ადგილი უნდა მონახოს საცხოვრებლად.

ცხოვრებამ ხასიათი გამოიცვალა, გადმოვიდა ძველი კალაპოტიდან და წინად თუ „არეულობა“ რაღაც უცნაური, შორეული, უცხო და იშვიათი მოვლენა იყო, დღეს მთელი ცხოვრება გადაიქცა არეულობად...

ნუ გეფიქრებათ მშვიდობიანობაზე, მშვიდობიანობა დაიმარხა და დღეს არავის არ შეუძლია მისი აღდგენა. დარაჯის ხიშტი არ არის მშვიდობიანობა, დარაჯები ვერ შექმნიან მშვიდობიანობას და წესიერებას. ამისათვის სულ სხვა რამაა საჭირო. ნუ ეძებთ მშვიდობიანობას, ამაოა ყოველივე ცდა. და ვიდრე მშვიდობიანობამდის მივიდოდეთ, საჭიროა განვვლოთ გზა არა-მშვიდობიანი. ისტორიას ჩვენ ვერ დავიმორჩილებთ, ჩვენ თითონ უნდა დავემორჩილოთ მას. ჩვენ წინ წამოყენებულია საქმე, რომელსაც გვერდს ვერ ავუხვევთ, რომელიც არ მოისპობა იმიტომ, რომ თვალებს დავხუჭავთ, რომელიც არ გაკეთდება მისით, თავის თავად, მშვიდობიანად და წყნარად. ეს საქმე ძვირად ღირს, მაზედა დამოკიდებული ჩვენი ადამიანური არსებობა, მომავალი ძვირფასია, და ამიტომ იაფად და იოლად არ მოგვეცემის.

ადამიანური ცხოვრების უფლება ბრძოლით მოიპოვების მხოლოდ და სადაც ბრძოლაა, იქ აღარ არის მშვიდობა. უკუაგდეთ ბურჟუაზიული, მეშჩანური მშვიდობიანობის ფიქრი. შეხედეთ თვალებში იმას, რაც არის და რაც იქნება... ჯერ მხოლოდ ჟუჟუნია, ნაღვარი მერე იქნება. ნურავინ მოელის ტკბილს ხმებს, მუსიკას და ცეკვას, ნუ მოელის ლამაზს, წარმტაცს და საამო სურათებს, ნუ მოელის სიცილს. არა, დღევანდელი დღე ამისათვის არ არის გამზადებული. დღეს სულ სხვა მოგველის წინ: გაიგონებთ საშინელს ხმას და დაინახავთ შესაზარ სურათებს; მწარე ცრემლებს, სისხლის ცრემლებს დაუღვრით, დაღვრიან ჩვენი ახლობლები; იქნება შიმშილი, გაჭირვება, ტანჯვა და წამება...

ეს არ იქნება მშვიდობიანობა. მშვიდობიანობა დაიწყება შემდეგ. პირდაპირ შეხედეთ ამას, ამას დამალვა არ უნდა. არც შიში გვმართებს, რადგან შიში ვერ გვიხსნის. ვისაც უნდა სამოთხეში შევიდეს, ის უნდა განიწმინდოს არა მშვიდობიანობით. ნურავინ იქნება ისეთი გულუბრყვილო და ნუ იფიქრებს, რომ სამოთხეში შევა სახელმწიფო სათათბიროს და ერობის შემწეობით. არც ერთი და არც მეორე არაფერს არ აკეთებს და არც რისიმე გასაკეთებლად არის დაწესებული...

ხიტყვა

უნდა იქნას ცნობილი და პოლიციასა და ჯარს იქ ხელი არ უნდა ჰქონდეთ. 4. რაც შეეხება სასტიკს გამოძიებას და 29 აგვისტოს დამნაშავეთა სამართალში მიცემას, ეს საჭიროა არა მარტო სამართლიანობისათვის, არამედ თვით მთავრობის პრესტიჟისათვის. ამ მოსაზრებათა გამო საბჭოს მოღვაწეობის განახლებას პრაქტიკული მნიშვნელობა ექმნება მხოლოდ მაშინ, თუ მცხოვრებთ მიეცემათ ელემენტარული პირობები კულტურულ ურთიერთობისა, რაიცა ზემოდ არის მოყვანილი. დასასრულ პირადად გენერალ-გუბერნატორთან მოსალაპარაკებლად კრებამ აარჩია კომისია. კომისიაში მოჰყვნენ: თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილი, თავ. ა. მ. არღუთინსკი, ა. ს. პაზოვი, ი. მ. დოლუხანოვი, თავ. გ. მ. თუმანოვი და ა. ი. ხატისოვი.

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 24 სექტემბერი. სოფ. როხში გლეხებსა და ჩიქავაძეებს შორის ჭირნახულის გაყოფის დროს გლეხებმა მოჰკლეს სამი ყაზახი, რომელნიც სდარაჯობდნენ ჭირნახულს.

დაჭრილნი საყვარელიძე და ფხაკაძე ცოცხლები არიან. ბახტაძე სამსახურს თავს ანებებს.

სამღვდელოებამ დახურა ქალების საეპარქიო სასწავლებელი.

ქუთაისი, 23. დღეს საღამოთი მძიმედ დასჭრეს რიონის ბოქაული საყვარელიძე და უბნის ზედამხედველი ფხაკაძე.

პეტერბურგი, 24 სექტ. როგორც ამბობენ, ძირითადი ცვლილების შემოღება უნდათ სამხედრო საქმეში. უნდა გააუმჯობესონ როგორც აფიცრების, ისე უბრალო ჯარის-კაცთა მდგომარეობა, მაგრამ სამხედრო პირთათვის სამოქალაქო ტანისამოსის ტარების ნება მაინც არ იქნება. განზრახვაა, მოუმატონ აფიცრებსა და უბრალო ჯარის-კაცებს ჯამაგირი.

სტამბების მუშები ემზადებიან სრულიად რუსეთის სტამბებისა, ლიტოგრაფიებისა, და სხვა დარგის მუშების სიეზდის გამართვას. სიეზდზე განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: მომუშავეთა ნივთიერი მდგომარეობა, მათი სწავლა-განათლების საქმე, ურთი-ერთი დახმარება, სპეციალურ სასწავლებლების დაარსება.

გაზეთების ცნობით, უნივერსიტეტის ახალი წესდება ამ დღეებში წარედგინება ღლაზოვს საბოლოო რედაქციისთვის და შემდეგ დაეგზავნება პროფესორების საბჭოებს დასკვნისთვის.

საზღვაო სამინისტრო სათადარიგო ჯარებში რიცხავს ფლოტის ეხლა-ხან გაყვანილ აფიცრებს.

ბევრმა ერობამ საკითხი აღძრა ერობებში შემოღებულ ქონებრივ ცენზის მაგივრად შემოსავალზე განსაკუთრებულ საერობო გადასახადის დადგენის შესახებ.

პეტერბურგის საარჩევნო კომიტეტში მოხვდნენ არსენიევი, ვინავერი, ფედლინი, მილიუკოვი, ნაბოკოვი, პეტრუნკევიჩი, როდიჩევი, ფედოროვი და შნიტნიკოვი. „რუს“-ის სიტყვით ამ კომიტეტს კიდეც დაუწყია მუშაობა.

„სლოვო“-ს გაუგია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად ინიშნება სტიშინსკი, პოლიციისა—ტრეპოვი და იუსტიციისა—ნოლდეო.

დათხოვნილ იქნა სამსახურიდან ავადმყოფობის გამო კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე მაკედონსკი.

სტახოვიჩმა ხელი აიღო მეშჩერსკის ბრალდებაზე.

რუსეთის ყველა უნივერსიტეტებში ფინანსიური კრიზისია. საერო განათლების სამინისტრო ხაზინიდან ითხოვს ფულს. პეტერბურგის უნივერსიტეტის ბევრმა პროფესორმა პროტესტი განაცხადეს სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ზოგიერთ პროფესორების ბოიკოტით გაძევების წინააღმდეგ. პროფესორების საბჭომ დაარწმუნა ყრილობის პრეზიდიუმი ბოიკოტზე უარის თქმაში.

„სლოვო“ იუწყება, მეცნიერებათა აკადემიამ გადასწყვიტა წიგნების აკრძალვის შესახებ საქმეები სასამართლოებს უნდა გადაეცეს გადასაწყვეტადო.

პორტ-არტურის ზოგიერთმა აფიცრებმა გადასწყვიტეს, გამოსცენ წიგნები, საცა დაწვრილებით იქნება აწერილი პორტ-არტურის ჩაბარება იაპონელებისათვის.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

23 სექტემბერი

ნიუ-იორკი. პრეზიდენტმა რუზველტმა აცნობა სენატორ სიმონსს, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია 1908 წელშიაც წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის ადგილზე.

კაპშტადტი. კაროს მთების ჩრდილო-დასავლეთის ნაწილში ნავთის მადანი იპოვნეს. დაარსდა სინდიკატი, რომელმაც 3 მილიონი აკრი მიწა შეიძინა. განაგრძობენ ძებნას.

ტოკიო. სჯა-ბაასი აქვთ იმის შესახებ, რომ იაპონიის ესკადრა ტაკუის მეთაურობით ახლო მომავალში დიდს ბრიტანეთს ინახულებს. არწმუნებიან, რომ ამერიკის სტატს-სეკრეტარ ტაფტის ეხლა-ხან ყოფნას იაპონიაში ძლიერ საყურადღებო შეთანხმება მოჰყვება. იაპონიამ კატეგორიულად განაცხადა, რომ მას არაფერი არ აქვს სადაო ფილიპინებზე.

მოსკოვი, 23 სექტემბერი. უნივერსიტეტის საბჭოს გარდაწყვეტილებით უნივერსიტეტი გაიღება შაბათს კურსებზე ყრილობების მოსასმენად.

პური და საკვები მასალა ძლიერ ძვირდება.

სტამბოლი, 23 სექტემბერი. ღამით დაატუსაღეს სკუტარის სომეხ-გრიგორიანთა ეპისკოპოსი ეგეადიანი და მასთან მეორე არქიელი.

ფულავერი, 23 სექტემბერი. ღამით, ყარსის გზაზე, სადახლო-ახტალას ნაწილში, გაძარცვეს ფოსტის ვაგონი. ფოსტის მხლებელი მოხელე და პოსტალიონი დაჭრეს. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

ნეჟინი, 23 სექტემბერი. პოლიციის პირველ ნაწილის ფანჯარაში ბომბა შეაგდეს; ერთი გოროდოვოი მოკლულია, ერთიც მძიმედაა დაჭრილი, მსუბუქადაა დაჭრილი კანცელარი.

მადრიდი. მთავრობა თანახმაა მიიღოს მაროკოს კონფერენციის პროგრამა.

ლონდონი. ვაჭრობის მინისტრმა ლიბსემ განაცხადა, თუ რუსეთს ინგლისთან შეთანხმება სურს, მთავრობა მზადაა განიხილოს მისი წინადადებანი.

განჯა, 23 სექტემბერი. თათრებმა და სომხებმა სამღვდელოებისა და გენერალ-გუბერნატორის თანდასწრებით დიდის ამბით შემოიარეს ქალაქი, ეკლესიასა და მეჩეთში სიტყვები წარმოითქვა ნაციონალურ მტრობის მოსპობის საჭიროებაზე.

მოსკოვი. საერთო საერობო ორგანიზაციას ცნობა მოუვიდა, წითელი ჯვარი თანახმაა გაჰყიდოს დამშეულების სასარგებლოდ დანაშთენი თეთრეული, ქურქები, ფეხსაცმელები და სხვა, რაც რამდენიმე ასს ვაგონს შეიცავსო.

პეტერბურგი. უმაღლესად იქნა დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დებულება შესახებ ცენტრალურ განმკარგულებელ კომიტეტის დაარსებისა იაპონიიდან ტყვე-რუსების გადმოსაყვანად. განზრახულია, ყველა 64 ათასი ტყვე ათი გემით გადმოიყვანონ 4 კვირის განმავლობაში ვლადივოსტოკს, იქიდან-კი ციმბირის გზით წამოიყვანონ. ამ გზებით წამოყვანა 7-ჯერ უფრო იაფი იქნება, ვიდრე სუეცზე გადმოყვანა.

24 სექტემბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარის დამატებაში ნათქვამია, სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა მოხდება არა უგვიანეს 1906 წ. იანვრის ნახევრისა. სათათბიროს წევრთა არჩევნები დაინიშნება ერთს დღეს ყოველგან. რაც ვოლოსტების ყრილობებზე არჩევნებს შეეხება, იგინი უნდა დასრულდეს უსათუოდ 5 დეკემბრისათვის. საგუბერნიო კრებებზე არჩევნების დღე უნდა იყოს არა უგვიანეს დეკემბრის ნახევრისა.

კობეკოს კომისიის სხდომას 22 სექტემბერს, სხვათა შორის დაესწრო ტფილისის ცენზურის წარმომადგენელიც, რომელმაც დაახასიათა ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრული პრესის მდგომარეობა კავკასიაში.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

22 სექტემბერი

ადესა, 23 სექტემბერი. მოვიდა გზათა მინისტრის ამხანაგი სადგურებზე შეგროვილ პურის დასათვალიერებლად. სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის რაიონებში 30 მილიონ ფუთზე მეტი პურია მოგროვილი.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 23 სექტემბერი. დღეს ქალაქ კამიშინიდან 20 ვერსტზე საზოგადოების „პო ვოლგე“-ს სამგზავრო გემზე საორთქლე ქვაბი გასქდა. მოკვდა სამი კაცი სამანქანო კამანდიდან და 6 მგზავრი ორთქლმა დამდუღრა.

ზენკოვი. საერობო კრებამ დაადგინა, თვითეულ ობოლს ომში მოკლულ უბრალო ჯარის კაცისას, 13—13 მანეთი აძლიოს, სანამ სკოლაში შესაყვანი გახდებიან, შემდეგ-კი მააბარონ ერთ-ერთის პროფესიონალურ სკოლებში.

სიმფეროპოლი, 23 სექტემბერი. სიმფეროპოლის სატუსაღოში დაიჭირეს წერილი, რომლის წყალობით აღმოაჩინეს ვეებერთელა ხვრელი, ციხის ქვეშ. სატუსაღოს ჯარები შემოერტყა. ტუსაღების გაქცევა, ამგვარად, აღარ მოხერხდა.

ეკატერინოდარი, 23 სექტემბერი. გუშინ ქალაქ ანაპაში მიწის ძვრა იყო. ბევრი სახლის კედელი გასქდა. არავინ არ დაშავებულა.

სტამბოლი. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა სომხების შესახებ მისაღები ზომები, საბჭოს სჯა-ბაასი ჰქონდა იმ წინადადებაზე, რომლის ძალით სამშობლო ქალაქებში უნდა გაიგზავნონ ყველა ის სომხები, რომელნიც სტამბოლში ცხოვრებენ, მაგრამ იქ-კი არ არიან დაბადებული. ეს პროექტი წარუდგინეს სულთანს დასამტკიცებლად.

ბუშირი. ჩვენის საზღვაო უწყების ნახშირი, 11,500-ტონის, იკარგება ჯიბუტში. შეიძლება მისი მიყიდვა საფრანგეთის გზის გამგეობისათვის 45 შილინგად თითო ტონა.

23 სექტემბერი.

პეტერბურგი. სავაჭრო გიმნაზიებთან გადაკეთებული იქნება აგრეთვე საქალაქო საშუალო სასწავლებლებიც. ახალის პროგრამით, განზრახულია, ჩაადგინონ ზოგიერთი კურსები და სერიოზული ყურადღება მიაქციონ ახალ ენების პრაქტიკულად შესწავლას. ქალების ყველა სასწავლებლებთან დაარსდება სპეციალური პედაგოგიური კურსები. ამათი მიზანია, გიმნაზისტკებს საშუალება მისცენ განათლების დასრულებისა. გაიხსნება აგრეთვე ქალების სამასწავლებლო სემინარიები.

23 სექტემბერს ვინავერის ბინაზე შეკრებილმა მოღვაწეებმა შემდეგი დაადგინეს: დაარსდეს 12 ნაწილის კომიტეტი. თვითეული კომიტეტი შესდგება 3 წევრისაგან რომელნიც იმოქმედებენ მათის რაიონის ამომრჩევლებში. ამას გარდა გაიმართება ლექციები და დაურიგდება ხალხს ბროშიურები. ამ ჯგუფის პროგრამას შემდეგი საფუძველი აქვს: სათათბიროს პირველი შედგენილება მხოლოდ ორგანოა ხალხის ნამდვილ წარმომადგენლობის შესაქმნელად; პირველ სათათბიროს მიზანია—დაკანონებულ იქნას საყოველთაო საარჩევნო უფლება და შეკრებებისა და ბეჭდვით სიტყვის თავისუფლება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ვ. ჯაბადარი

განცხადებანი

ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებელი აცხადებს, რომ სწავლა უთუოდ დაიწყება პირველ ოქტომბრიდან. თხოვნების მიღება ყოველ დღეს შეიძლება პირადად და ფოსტით. (3—6.—2)

გარდაიცვალა
ტფილისის სამარხ კასის წევრი
ალექსანდრე ამირეჯიბი.
გამგეობა სთხოვს წევრებს შემოიტანონ
1 მ. 25 კაპ. (3—1)

!! ერიდეთ ფალსიფიკაციას !!

ჰიგიენური საპონი
ბორნო-ტიმოლისა,
პროვიზორის
ი. ფ. იურგენსისა

სპობს ჭორფლსა, ყოველგვარ მუწუკს, სიყვითლესა და კანის დამწვრობ მოქმედობს მეტის მეტ იოფლიანობის წინააღმდეგ. მშვენიერის სურნელების, საუკეთესო სატუალეტო და მაღალის ხარისხის საპონია. **ოქროს მედალი, ლონდონში** 1903 წელს.

ერთი ნაჭერი ღირს 50 კაპ., ხოლო ნახევარი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიაში.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსთან, მოსკოვში. (მც. 14—9)

TRADE MARK "GRAMMOPHON"

დროა დავიჯეროთ!

სამი ფაქტი!

1. მთელის ქვეყნის საუკეთესო და უფრო გამოჩენილი არტისტ-მომღერლები, როგორც, მაგალითად: მელბა, **ტამანიო**, **კარუზო**, **სობინოვი**, **შალიაპინი** და სხვათ, რომელნიც დიდათ აფასებენ თავის სახელს, სწორედ **გრამოფონის სააქციონერო საზოგადოების** გრამოფონები აირჩიეს თავის ხმების გამომხატველებად და არა სხვა რომელიმე „სალაპარაკო მანქანა“.

2. უპირველესი და უშესანიშნავესი მუსიკის მცოდნენი და სამუსიკო კრიტიკოსები, როგორც მაგალითად: ადელინა პატტი, მასსნე, სენ-სანსი, გუბელდიკა, გოლდმანი, პროფ. იოახიმი და სხვები ირწმუნებიან თვითონ, სხვის გავლენის გარეშე, რომ **გრამოფონის სააქციონერო საზოგადოების** გრამოფონი საუკეთესო და უმშვენიერესი მანქანაა ხმის ხელოვნურად გადასაცემად და უკეთესი გამავრცელებელია ნამდვილ მუსიკის ნაწარმოებებისა.

3. მეფეები და სხვა წარჩინებულნი პირნი, როგორც მაგალითად: მ. უ. მეფე ედუარდ VII, პორტუგალიის მეფე, გერმანიის ტახტის მემკვიდრე, პაპი პიოს X და სხვები იძენენ მხოლოდ აპარატს „გრამოფონ“-ს ჩვენის წარმოებისას და არა სხვისას.

კიდევ სამი ფაქტი

1. გრამოფონის ფირფიტები **გრამოფონის სააქციონერო საზოგადოებისა** ყველაზე ძვირად ისყიდება, სამაგიეროდ ორჯელ უფრო მაგარია და ორჯელ უფრო დიდხანს სძლებს, ვიდრე სხვებისა.

2. ძველი, უკვე ნახმარი ფირფიტები ჩვენის ფაბრიკისა ორჯელ უფრო მეტს ფასში არიან, ვიდრე სხვებისა.

3. **ჩვენი ფირფიტებისა არის 14.000 ნომრებზე მეტი** და გადმოგვცემენ ყველა არტისტების სიმღერას ყველა ენებზე.

ყოველი გრამოფონი სალაპარაკო მანქანაა, მაგრამ ყოველი სალაპარაკო მანქანა გრამოფონი როდი არის.

სააქციონერო საზოგადოების გრამოფონის გრამოფონებსა და ფირფიტებზე უთუოდ არის შემდეგი საფაბრიკო ნიშანი:

საფაბრიკო ნიშანი TRADE MARK "GRAMMOPHON" საფაბრიკო ნიშანი

უამისოდ გრამოფონი და ფირფიტა უთუოდ ყალბი იქნება.

უკანასკნელი ჩვენი გაუმჯობესება ფირფიტების საქმეში ის არის, რომ გამოვეცით რუსულის სიმღერების ფირფიტები ორკესტრის აკომპანიმენტით, რაც სინამდვილის სრულს შთაბეჭდილებას გვაძლევს და სცენაზე აღსრულებულის უარესი არ არის.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება

ქვემო აღნიშნულ №№-ს, მშვენიერებს ხელოვნებისა და ტეხნიკის მხრივ ფირფიტები—გრანდ აკომპანიმენტით **გრამოფონის სააქციონერო საზოგადოების** საკუთარის ორკესტრისა:

ა. მ. დავიდოვი (ტენორი) საიმპ. ოპერის არტისტი
C. 2—22796. „იცინე, მასხარავ“ არიოზო ლეონკავალოს ოპერიდან.
C. 2—22763. „რახილ, შენ ჩემი ხარ“ გალევის ოპერიდან.
ა. მ. ლაბინსკი (ტენორი) საიმპ. ოპერის არტისტი.
M. O.—22083. „საით წახვედით“ ლენსკის არია „ევგ. ონეგინი“-დან.
C. 2—22795 „მომეც დავიწყება“ დუბროვსკის არია ნაპრავნიკის ოპერიდან.
C. 22775 „ყველაფერი მშვენიერებაა მასში“ რაულის არია „ჰუგენოტებიდან“.
ალტის ნ. ტ. მანასევიჩის აკომპანიმენტით.
ო. ი. კამიონსკი (ბარიტონი) რუსულ ოპერის არტისტი.
C. 2—22738 „რენატოს არია“ ვერდის „ბალ-მასკარად“-იდან (იტალ.). C. 2—22787 „ჩემი სიბერე“ ჟერმონის არია „ტრავიატა“-დან. C. 2—22788 „ნუ სტირი, პაწია“ რუბინშტეინის „დემონი“დან. C. 2—22789 „ფიგაროს კავატინა“ როსსინის „სევილიელ დალაქი“-დან. C. 2—22794 „ტორრეადორის არია“ „კარმენ“-იდან.
დ. ი. ბუხტოიაროვი (ბანი) საიმპ. თეატრის არტისტი.
C. 2—22803 მარსელის არია „პიფ-პაფ“ მეიერბერის ოპერიდან. C. 2—22804 „ცი მინდორო“ გლინკას ოპერიდან „რუსლან და ლიუდმილა“.
მ. ა. მიხაილოვა (სოპრანო) საიმპ. ოპერის არტისტი-ქალი.
C 23493 არია ოპერიდან „მომხიბლავი მსროლელი“ ვებერისა. C. 23496 კავატინა იმავ ოპერიდან. C. 23468 „სამშობლო მხარეში“ თედოფლის არია „ჰუგენოტებიდან“.
მ. ნ. კუზნეცოვა-ბენუა (სოპრანო) საიმპ. ოპერის არტისტი ქალი.
C. 23493 „იმაზე არ ვწუხ, მეგობარნო“ არია „ჟიზნ ზა ცარია“-დან. C. 23491 „რა უცნაურობაა“ „ტრავიატა“დან.
მ. ა. მიხაილოვა და ა. მ. დავიდოვი (საიმპ. ოპერის არტისტები).
C. 24389 „ერთის წუთით მოვიდნენ“ ვერდის „ტრავიატა“-დან. C. 24395 „ჰუგენოტები“-ს ოპერიდან დუეტი.
გ. ა. ტუგარინოვა და ა. მ. დავიდოვი (საიმპ. ოპერის არტისტები).
C. 24392 დუეტი ოპ. „ტრუბადური“-დან ვერდისა.

გრამოფონის სააქციონერო საზოგადოება

ПЕТЕРБУРГЪ
Морская, 49.

სააგენტოები და წარმომადგენლობა რუსეთის ყველა მთავარ ქალაქებში.
(მტც. 2—2)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქაშვეთის ქუჩა, არწრუნის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

ისყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები. მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწვდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.

ისყიდება **დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები** 80 კ. 50 კ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОНДНА“.

(წ.) წიგნის მაღაზიის გამგე სოსიკო მერკვილაძე.

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ

КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.

Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**

Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.

Остерегайтесь поддѣлокъ!

Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.

Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!

Магазинная вывѣска
Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. Фин.

фабричное клеймо которымъ снабжены машины.

საკერავი მანქანები ზინგერის ამხანაგობისა

ისყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზები გაიგება ხელწარწერით რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ“. ნახატი დატკიცებულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ! ყიდვა მანქანისა შეიძლება ნისიად, და ფულის ნაწილ ნაწილ შემოტანით, კვირაში თითო მანეთიდან. (25—17).